ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკის მიმართულების მაგისტრანტი

ვახტანგ ჯინჭვალშვილი

სამაგისტრო ნაშრომი

„მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია: ტენდენციები და წინააღმდეგობები“

მეცნიერ-ხელმძღვანელი : შოთა ვეშაპიძე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

მსოფლიო ეკონომოკისთვის მეოცე საუკუნე ასოცირებულია პროცესების მთელ რიგთან, რომელიც ფართო მასშტაბებს მოიცავს. დღის წესრიგში დგას მნიშვნელოვანი საკითხი და იმავდროულად ინტერნაციონალიზაციის ეტაპი - ანუ გლობალიზაცია. ის განიხილავს მსოფლიოს განვითარების აუცილებელ პროცესებს სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში. ზუსტად გლობალიზაცია გვევილება ეკონომიკური ზრდის დამაჩქარებელ ფაქტორად და ამას გარდა ხელს უწყობს მოდერნიზაციასაც.

და მაინც რა არის გლობალიზაცია?! ინგლისური სიტყვა „ Globe" - გლობუსს ნიშნავს, ხოლო „global" - მსოფლიოს. გლობალიზაცია თანამედროვე ინგლისური სიტყვაა და ასახავს ცვლილებებს მსოფლიო ეკონომიკასა და საზოგადოებაში.

ნაშრომი ეხება ეკონომიკურ გლობალიზაციას. და ამისათვის ჩართული იქნება სტატისტიკური მაჩვენებლები იმისათვის, რომ თვალსაჩინო გახდეს ეკონომიკური გლობალიზაციის ტენდენციები ოცდამეერთე საუკუნის ჩათვლით. გლობალიზაციის პროცესების დაჩქარება 80-იანი წლებიდან იწყება. ის შეუქცევადი და ისტორიული პროცესია, რომელიც კომპლექსურად ეხება ბევრ სფეროს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა ეკონომიკა. შემთხვევით არ მომხდარა, რომ გლობალიზაცია დასაწყისში ეკონომიკას ნიშნავდა, ხოლო ცოტა მოგვიანებით ამ ტერმინის მნიშვნელბა ასოცირდებოდა უფრო ფართო მნიშვნელობასთან - უსაზღვრო მსოფლიოსთან. ჩვენ თუ დავაკვირდებით, გლობალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვასენი და პოზიტიური თვისება არის ის, რომ ქვეყნებს შორის მანძილი თითქმის არ არსებობს. ადამიანებს მარტივად შეუძლიათ საზღვრების გადაკვეთა. და ეს პირველ რიგში გლობალიზაციის დამსახურებაა.

უფრო კერძოდ, ეკონომიკის გლობალიზაცია არის გლობალიზაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს რამდენიმე ასპექტს:

- ეკონომიკის ლიბერალიზაცია;
- ვაჭრობის განვითარება;
- მსოფლიო თანამედროვე თანამეგობრობაში ქვეყნების ინტეგრაცია;
- მომსახურების ბაზრის გაზრდა;
- ინვესტიციების ჩადება;

გლობალიზაცია ყველა ქვეყნის ეკონომიკაზე ახდენს დიდ გავლენას. ის ეხება საქონლისა და მომსახურების შექმნის პროცესს, სამუშაო ძალის გამოყენებას, ინვესტირებას „ფიზიკურ“ და ადამიანურ კაპიტალში, ტექნოლოგიებს და მათ გავრცელებას სხვა ქვეყნებზეც. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი, გამოიხატება წარმოების და შრომის ეფექტურობაში.

კომპანიის ლიდერები ხსნას კონკურენტუნარიანობაში ხედავენ. მათთვის მნიშვნელოვანია გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობა. თუ სურთ არ დამარცხდნენ. საბოლოო ჯამში ლიდერულ პოზიციებს ყოველთვის ის ფირმები ინარჩუნებენ, რომლებიც უძლებენ კონკურენციასთან ბრძოლას.

გლობალიზაციის მომხრეები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ გლობალიზაციის დადებით მხარეებზე. ისინი დარწმმუნებულები არიან, რომ გლობალიზაციას მთელი მსოფლიოსთვის შეუძლია უზარმაზარი სარგებლის მიცემა. ვაჭრობაზე საზღვების მოხსნამ და კონკურენციის გამძაფრებამ უბიძგა მეწარმეებს ღირებული პროდუქციის შექმნისაკენ, რათა არ დამარცხდნენ კონკურენტულ ბრძოლაში, შესაბამისად გლობალურად მოქმედება დაიწყეს.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის უარყოფითი ეკონომიკური გავლენები გლობალიზაციის მხრიდან, რომლებზეც საუბრობს გლობალიზაციის მოწინააღმდეგი მხარე. ისინი კრიტიკულად უდგებიან ამ საკითხს და მიიჩნევენ, რომ გლობალიზაციას უარყოფითი შედეგებიც მოაქვს. ესენია:

- ქვეყნებს შორის შემოსავლების არათანაბარი განაწილება;

- სახელმწიფოს როლის შესუსტება ეკონომიკაში და სოციალურ სექტორში;
- ეროვნული ტრადიციების უგულებელყოფა;
- და სხვა.. . . .

ეკონომიკური გლობალიზაციის განხილვისას აუცილებელია განვიხილოთ ის უდიდესი მსოფლიო კრიზისები, რომლებსაც ქვეყნები დღესაც ებრძვიან. მათ შორის არის საქართველო. თუმცა საქართველოზე ამ კრიზისის გავლენა არ იყო ისეთივე ეფექტის მატარებელი 2008 წლის ომის გამო, რომელმაც შეიძლება ითქვას, რომ გადაფარა ის ნეგატიური მოვლენა.

Annotation

Twentieth century for the world economy is associated with a range of processes that involve a broader scope. The important issue in the order is at stake and at the same time the internationalization stage - Globalization. It discusses the developmental processes of the world in the socio-economic context. We are globalized as an accelerating factor In addition to the destruction, it also contributes to modernization.

The English word "globe" means Globe, while "global" - the world. Globalization The modern English word is to make changes in the world economy and society.

The work deals with economic globalization. The statistical indicators will be involved in the process to demonstrate the trends of economic globalization in the twenty-first century. Acceleration of globalization processes began in the 80s. It is an irreversible and historic process that deals with many areas. Global economy is the beginning of the economy, and a little later this term has significantly worsened with the broader meaningless world. If we look at one of the most insignificant globalization and positive features, there is almost no distance between the countries. People can easily cross the borders, and this is the first priority of globalization.

More precisely, the globalization of the economy is one of the components of globalization that includes several aspects:

- Liberalization of Economics;
- Development of trade;
- Integration of countries in the modern world community;
- To increase the service market;
- Make investments;

Globalization is a major influence on the economy of all countries. It deals with the process of creation of goods and services, the use of force, investing in "physical" capital, technologies and their spread to other countries. In the end, everything is expressed in the production and labor efficiency.

The company leaders see salvation in competitiveness. It is important for them to participate in the global economy. If they do not want to lose. In the end, the leader positions always keep the firms that are struggling to compete.

Globalization supporters mainly focus on the positive sides of globalization. They are convinced that globalization can provide tremendous benefits for the whole world. The removal of borders on trade and competition has encouraged entrepreneurs to create valuable products in order not to be beaten in a competitive fight, and therefore began to act globally.

However, it should also be noted that negative economic influences from globalization, which speak of anti-globalization. They are critical of this issue and think that globalization has negative consequences. These are:

- Unequal distribution of income between countries;
- Decrease the role of the state in economics and social sector;
- Neglecting national traditions;
- and more. . . . .

In considering economic globalization, it is necessary to consider the greatest global crisis that countries are fighting today. Among them is Georgia. However, this crisis on Georgia was influenced by the 2008 war, which could be said to be a negative event, which can be said to have been a negative phenomenon.

სარჩევი

ანოტაცია **2**

Annotation **5**

შესავალი **8**

თავიI. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის მახასიათებლები **10**

1.1. ეკონომიკური გლობალიზაციის შინაარსი 10

1.2. გლობალიზაციის განვითარების ეტაპები და მიმართულებები 22

1.3. ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევები 32

თავი II. საქართველოს ეკონომიკა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში **42**

2.1. მსოფლიოს თანამედროვე ფინანსური კრიზისები და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე 42

2.2. საქართველოს საგადასახადო რეფორმები და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია 54

2.3. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების იმპლემენტაციის შედეგები 64

დასკვნა **74**

ბიბლიოგრაფია: **80**

შესავალი

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია სისტემური მოვლენაა. გლობალურ სამყაროს უწოდებენ დღევანდელ ასწლეულს. მას შეუძლია გლობალიზაციის არსის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენების მოხდენა ადამიანების ცხოვრებაზე.

ნაშრომში განხილულია მსოფლიოს განვითარების ტენდენციები. და ასევე ჩართულია საქართველოს ფაქტორი ამ პროცესებში.

არსებობს ქვეყნების გლობალიზაციის რეიტინგი, რომელსაც შვეიცარიული ორგანიზაცია „ტექნოლოგიური ფედერალური ინსტიტუტი“ აქვეყნებს. ეკონომიკური გლობალიზაციის დონე არის განსაზღვრული რამდენიმე კრიტერიუმით. მათ შორის არის:

- ვაჭრობა;
- უცხოური კაპიტალის მოძრაობა;
- მიგრაცია;

დღეს გლობალიზაციის დონე იმდენად მაღალია, რომ ქვეყნების ეკონომიკური საზღვრები უბრალოდ ფორმალობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ბიზნესს და ასევე კაპიტალს არ გააჩნიათ საზღვრები. ისინი იქ განთავსდება საიდანაც ყველაზე ხელსაყრელი პირობები გამოუჩნდებათ ინვესტორებს. ასეთ პირობებში ქვეყნების კონკურენციის მიზანია რაც შეიძლება ხელსაყრელი პირობების შეთავაზება პოტენციური ინვესტორებისათვის.

გლობალიზაციის ინდექსს ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს, რომელიც მოიცავს 203 ქვეყანას. ინდექსის მაჩვენებელი 3 ძირითად კატეგორიადაა დაყოფილი, რომლებიც შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმებს მოიცავენ. ეკონომიკური გლობალიზაციის დონე საერთაშორისო

ვაჭრობის, და უცხოური კაპიტალის მოძრაობის სხვადასხვა კრიტერიუმით განისაზღვრება.

22 იანვარს ქვეყნების გლობალიზაციის რეიტინგი ახალი კვლევა გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც საქართველო 23-ე ადგილს იკავებს, ხოლო ზოგადად გლობალიზაციის დონით 45-ე ადგილზეა. 2018 წელს ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში საქართველოს მე-18 ადგილი ეკავა.

ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს რამდენად არის ქვეყანა ინტერგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კუთხით. ქვეყნის ეკონომიკას და ასევე პოლიტიკურ ზრდას ხელს უწყობს გლობალიზაციის მაღალი დონე.

საქართველოს ოცდამესამე ადგილი არის საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური პოლიტიკის დამსახურება და უცხოური კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების/შემოსვლის შესაძლებლობა.

გლობალიზაციასთან დაკავშირებულ შეხედულებებს სადისკუსიო ხასიათი გააჩნიათ. მისი მნიშვნელოვანი პირობაა შრომის საერთაშორისო დანაწიელბა. ეს თავისებურება შეიმჩნეოდა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაშიც. წამყვან როლს ასრულებდა ზუსტად შრომის საერთაშორისო დანაწილება და საერთაშორისო ვაჭრობა. დღეისთვის ეს მსოფლიოს განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტერმინანტია.

თავიI. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის მახასიათებლები

1.1. ეკონომიკური გლობალიზაციის შინაარსი

სიტყვა „გლობალიზაცია“ ინტენსიურად გვესმის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონტექსტითაც. დადებითი მნიშვნელობით გლობალიზაცია შემდეგნაირად გვესმის, რომ მან შეიძლება გაათანაბროს ეკონომიკური მდგომარეობა და განათლებულობის დონე ხალხებისა. გვესმის აგრეთვე ძალიან უარყოფითი მნიშვნელობითაც. ბევრს მიაჩნია, რომ გლობალიზაცია მდიდრებს კიდევ უფრო მეტად გაამდიდრებს, და ღარიბებს კიდევ უფრო მეტად გააღატაკებს. არის აგრეთვე სხვა მოსაზრებაც, რომლებსაც განსაკუთრებით ნაციონალისტურად განწყობილი მოქალაქეები წარმოთქვამენ ხოლმე. ისინი მიიჩნევენ, რომ გლობალიზაციამ შეიძლება გამოშიგნოს ეროვნული კულტურები, და აქციოს პლანეტა ერთფეროვან ტერიტორიად. ისე რომ, გლობალიზაციას იმის მიხედვით თუ როგორ პროგნოზს აკეთებს ადამიანი იმის და მიხედვით უყურებს დადებითად, ან უარყოფითად.

ალბათ მოგეხსენებათ, ყოველთვის, როდესაც იმართება ძალიან მაღალი დონის ფორუმები, განსაკუთრებით, როდესაც იკრიბებიან ქვეყნების ლიდერები, ძალიან დიდი ფინანსური აქტორები, სადაც წარმოდგენილია მსოფლიო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ასე შემდეგ - ასეთ დროს მასპინძელ ქვეყნებს უხდებათ მთელი საპოლიციო ძალების მოზიდვა და მობილიზაცია იმისათვის, რომ მაღალი თანამდებობის ადამიანები დაიცვან, და დაიცვან მათი უსაფრთხოება. რატომ კეთდება ეს? იმიტომ, რომ ასეთ დროს მთელი მსოფლიოს ანტიგლობალისტები ჩამოდიან ხოლმე მსგავს ფორუმებზე. არამარტო იმ ქვეყნებიდან, რომლიდანაც ჩამოდიან მაღალი თანამდებობის პირები (იმიტომ რომ იმ ქვეყნებში შეიძლება ანტიგლობალისტების რიცხვი ძალიან მცირე იყოს), არამედ მთელი მსოფლიოდან.

საკმაოდ აგრესიული ანტიგლობალისტები ჩამოდიან, მათ შორის არიან ეკონომიკური ანტიგლობალისტები. ისინი აპროტესტებენ მსოფლიო სავალუტო ფონდისა და სავაჭრო ორგანიზაციის მოღვაწეობას. მათი აზრით, ეს ორგანიზაციები პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებენ დიდ კორპორაციებს, რის გამოც ადგილობრივი მცირე ბიზნესი იჩაგრება. რადიკალური ნაციონალისტები პროტესტს გამოთქვამენ მსოფლიოს კულტურული მრავალფეროვნებისადმი მიყენებული ზარალის გამო, და მოითხოვონ შეწყდეს დაუყოვნებლივ. პროტესტის ყველაზე აგრესიულ ფორმას მიმართავენ ხოლმე ანარქისტები. ანარქისტებმა ზუსტად თვითონაც არ იციან რას აპროტესტებენ. თუმცა მათი იდეოლოგიაც სწორედ ეს არის - ისინი ყოველთვის ეწინააღმდეგებიან აბსოლუტურად ყოველგვარ წესრიგს. ასე რომ, სამივე ტიპის ანტიგლობალისტები მართავენ ხოლმე ძალიან სერიოზულ და დრამატულ წარმოდგენებს.

ტერმინი გლობალიზაცია საკმაოდ ახალია. 1988 წელს გამოშვებულ კულტურული მემკვიდრეობის ამერიკულ ლექსიკონში სიტყვა „გლობალიზაცია“ ჯერ კიდევ არ წერია. ეს არის ლექსიკონი, სადაც ავტორები შეეცადნენ, რომ ჩაედოთ ყველაფერი, რაც განათლებულმა ამერიკელმა უნდა იცოდეს. ეს, თავისთავად, საინტერესო იდეაა ვინაიდან სოციალურ კვლევას საჭიროებს.

შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაცია არის მიმდინარე პროცესი, რომელსაც პლანეტა თანდათან მიჰყავს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ჰომოგენიზაციისაკენ (ერთფეროვნებისაკენ), ქვეყნებს შორის მზარდი ურთიერთქმედების საშუალებით, რომელსაც მინიმალურად აფერხებს მანძილი და სახელმწიფო საზღვრები. იმისათვის, რომ არსებობდეს გლობალიზაციის პროცესი სწორედ ეს ორი რამ - მანძილები და სახელმწიფო საზღვრები უნდა იყოს დაძლეული.

ბუნებრივია, რომ მანძილების დაძლევას უზრუნველყოს ტექნოლოგიური პროგრესი, კერძოდ - სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეიძლება ითქვამს, რომ პირველი სერიოზული გარღვევა მოძრაობის დაჩქარების

თვალსაზრისით იყო ორთქლის ძრავზე მომუშავე გემები, რომლებიც გაჩნდა მე-19 საუკუნის დასაწყისში. მას შემდეგ საშუალებების სრულყოფის აჩქარებამ წარმოუდგენლად გამაოგნებელი შედეგები მიიღო დღეს.

გავიხსენოთ სულხან-საბა ორბელიანი, რომელმაც არც თუ ისე მარტივად იმოგზაურა ევროპაში, რაც ნათლად ჩანს მის დღიურებში. მიუხედავად იმისა, რომ ის მნიშვნელოვანი მისიით მიდიოდა საზღვარგარეთ, იმ ეპოქის ტექნოლოგიამ ვერ უზრუნველყო დაჩქარებული გადაადგილება. ასე რომ, დაძლევა ამ მანძილებისა აშკარად მოხდა. კიდევ უფრო დიდ შედეგს მიაღწია საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა. მათი ნამდვილი განვითარება დაიწყო 1876 წლის შემდეგ, როდესაც ოკეანის ფსკერზე პირველად გაიდო სატელეგრაფო კაბელი - ტრანსატლანტიკური (ინგლისიდან ამერიკაში).

მიუხედავად ამ კომუნიკაციის მოწინავე ტექნოლოგიებისა, მაინც კომუნიკაციას მნიშვნელოვნად აფერხებდა ფასი. ასე რომ, სიძვირემაც თავის მხრივ გამოიწვია ის, რომ ინორმაცია ვერ ვრცელდებოდა სწრაფად, და შესაბამისად გლობალიზაცია ვერ წარმოებდა. მაგრამ დღეისათვის, განსხვავებით ტრანსპორტისა, კომუნიკაცია მნიშვნელოვნად იაფია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს თითქმის ყველა სარგებლობს ინტერნეტით, თავისუფლად შეიძლება ისიც ითქვას, რომ კომუნიკაცია დღეს პრაქტიკულად უფასოა.

როგორც ზემოთ ავღნიშნე გლობალიზაციის აუცილებელი პირველი პირობა არის მანძილების დაძლევა, ხოლო რაც შეეხება მეორე აუცილებელ პირობას - სახელმწიფო საზღვრების დაძლევას, აქ ცოტა უფრო მეტი სირთულე იჩენს თავს. რადგან შეუფერხებელი მოძრაობა (ინფორმაციის, კაპიტალის, ადამიანების და ა. შ.) შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ისეთ ქვეყნებს შორის, რომლებიც იზიარებენ ლიბერალურ ფილოსოფიას. ამის კარგი მაგალითია ევროკავშირი. ევროკავშირში ეს შეიძლება ხდებოდეს და ასეც არის. ევროკავშირის ქვეყნებს შორის არის ოთხი თავისუფლება - თავისუფალი მოძრაობა:

- საქონლის ;
- მომსახურების ;
- კაპიტალის ;
- ხალხის ;

საინტერესოა რომ გლობალიზაციის პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობდა მე-19 საუკუნის ბოლოს, ვიდრე მე-20 საუკუნეში. დღეს ზოგიერთი მეცნიერი უწოდებს იმ გლობალიზაციის პერიოდს პროტოგლობალიზაციას. უნდა დავსვათ კითხვა, თუ რამ განაპირობა მეოცე საუკუნეში ამ ვითარების შეფერხება? აქ იყო ორი მნიშვნელოვანი მიზეზი. პირველი მიზეზი უკავშირდება საბჭოთა კავშირის გაჩენას. ანუ გაჩნდა ქვეყანა, რომელსაც ჰქონდა მკაცრი იზოლირებული პოლიტიკა და პოზიცია, რომელსაც ეკავა მსოფლიოს ზედაპირის ერთ მეექვსედი. პრაქტიკულად მან ჩაკეტა ევრაზიული სივრცე, შესაბამისად მოძრაობა აღარ ხდებოდა. მეორე მიზეზი იყო ის, რასაც ეძახიან დეკოლონიზაციას. 60-იან წლებში დაახლოვებით 29 ახალი სახელმწიფო გაჩნდა, ეს იყო ყოფილი კოლონიები. როდესაც მოხდა დეკოლონიზაცია, ახალი ელიტები დადებითად იყვნენ განწყობილი სოციალისტური პარტიების მიმართ, ამას დაემთხვა 60-იან წლებში იური გაგარინის კოსმოსში გაფრენა, და ასევე კუბის რევოლუცია. აი სწორედ ამ მიზეზებით განეწყნენ ყოფილი კოლონიები გლობალიზაციის საწინააღდემგოდ. ამიტომაც სულაც არ არის უცნაური ის, რომ სიტყვა გლობალიზაცია გაჩნდა 90-იან წლების დასაწყისში

ეკონომისტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ გლობალიზაია არის განვითარებისთვის ობიექტურად სწორი მიმართულება. ძალიან ბევრი განვითარებული ქვეყნის ხელისუფლება ვერ დადის ერთ კონკრეტულ დასკვნამდე, თუ რამდენად დადებითი შედეგების მომტანი შეიძლება გახდეს ეს მოვლენა.

გლობალური მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც მსოფლიოს მრავალ ადგილზე მომენტალურად ვრცელდება და შეუძლია დაუყოვნებლივ გადაინაცვლოს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ასეთ შემთხვევაში მანძილი და ეკონომიკური

ტერიტორიული საზღვრები ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს, გარდა ფორმალური მხარისა. ზუსტად ამ მდგომარეობას ეწოდება გლობალიზაცია, რომელიც მრავალპოლარული სამყაროს შექმნას გულისხმობს.

არსებობს გლობალიზაციის, როგორც ტერმინის მრავალი განმარტება. მარტინ ელბროუ ამბობს, რომ გლობალიზაცია ყველა იმ პრცესს ასახავს, რომლის მეშვეობით გლბალურ საზგადოებაში ერთიანდებიან მსოფლიო ხელები.

მარტინ ხორი კი ამბობს, რომ გლობალიზაცია არის ის, რასაც ჩვენ მესამე სამყაროში საუკუნეების მანძილზე კოლონიზაციას ვუწოდებდით. თუმცა, ამ ტერმინის ყველაზე ზუსტი განმარტება მაინც ისაა, რომ გლობალიზაცია ისეთი პროცესია, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ ურთიერთობებს და სულ უფრო ნაკლებ მნიშნვნელობა ენიჭებათ მანძილს და საზღვრებს.

თუ გავიხსენებთ ბერძნულ კოლონიზაციას, ამ საკითხს შეიძლება თავისუფლად ვუწოდოთ გლობალიზაციის პროცესი. იქედან გამომდინარე, რომ ბერძნები თავიანთ კულტურას ავრცელებდნენ და ნერგავდნენ სხვა ქვეყნებში. ამას გარდა მიმდინარეობდა ვაჭრების მოგზაურობა, რასაც დღეს კაპიტალის მოძრაობნას ვუწოდებთ.

გლობალიზაციის 4 სახე არსებობს, რომელთა არსის გაგება მნიშვნელოვანია, იქედან გამომდინარე, რომ არსებობს ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გლობალიზაციის ბუნებას. მათ მოაქვთ საკმაოდ მყარი არგუმენტები, რომელთა შორის ალბათ ყველაზე მეტად შეიძლება გამოვარჩიოთ ქვეყნებს შორის არათანაბარი განაწილების პრობლემა. რომელიც რა თქმა უნდა საზიანოა ქვეყნების დიდ ნაწილზე და შესაბამისად - მთელს მსოფლიოზე.

გლობალიზაციის სახეებია:

- ეკონომიკური
- პოლიტიკური

- სოციალური
- კულტურული.

დიდი შეცდომაა იზოლირებული და ჩაკეტილი საზღვრები. იქედან გამომდინარე, რომ გლობალიზაციის გაგონებისას ჩვენ ყოველთვის ასოციაცია გვექმნება განვითარებასთან და დახვეწილთან, არ შეიძლება არ ავღნიშნო ერთი ფაქტი. ის ეხება კულტურას. პირველ რიგში დავსვათ საკითხი თუ რა არის კულტურა? ხშირ შემთხვევაში როდესაც გვესმის ეს სიტყვა ჩვენ მას ვაიგივებთ დახვეწილ მანერებთან - ანუ კულტურული და უკულტურო ადამიანი. მარამ კიდევ უფრო რომ ჩავუღრმავდეთ შეგვიძლია მას შემდეგი დეფინიცია მივცეთ: კულტურა არის ყევლაფერი, რაც ადამიანს მოყვება არა ბუნებით არამედ ნასწავლი და გადმოცემული მეთოდებით. აი მაგალითად შიმშილის გრძნობა ყველა ადამიანს ეუფლება, და ეს ბუნებრივი მოთხოვნილებაა, შესაბამისად ეს არ არის კულტურა. ხოლო ის არჩევანი რისი მირთმევა სურს ადამიანს უკვე კულტურის ელემენტია.

ღირებულიებითი სპეციფიკის საფუძველზე სოციოლოგები ყოფენ საზოგადოებას ორ ჯგუფად :

- უნივერსალისტურ საზოგადოებებად ;
- პარტიკულარისტულ საზოგადოებებად ;

რა განსხვავება ამ ორ საზოგადოებას შორის? პირველი საზოგადოება უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს წესების დაცვას და მიიჩნევს, რომ ასე უნდა მოიქცეს ყველა. კანონით დადგენილი ნორმები თანაბრად ეხება ყველას, მათ შორის ამ საზოგადოების ოჯახის წევრებს, მიუხედავად კანონის სიმძაფრისა.

ხოლო მეორე ტიპის საზოგადოება - პარტიკულარისტული, ნაკლებად ემორჩილება კანონს.

ამის ცოდნა ჩვენ გვჭირდება იმიტომ, რომ თუ განვითარება გვსურს ჩვენი ვექტორი უნდა იყოს მიმართული სწორედ უნივერსალისტური საზოგადოების მხარეს. ჩვენ უნდა შევძლოთ გავხდეთ კანონმორჩილები, და პარტიკულარისტული საზოგადოებისგან განსხვავებით არ ვეცადოთ გვერდი ავუაროთ მას, როდესაც საქმე ჩვენ ან ჩვენ ახლობელ ადამიანს ეხება. თუ გვინდა რომ განვვითარდეთ მაშინ უნდა დავემორჩილოთ კანონს. ეს აუცილებელია განვითარებისათვის. საქმე ისაა, რომ ერთი შეხედვით თითქოს რა კავშირი აქვს ამას განვითარებასთან. ს.ჰანტინგტონი კულტურის რაღაც თვისებებს ეძახის „განვითარებისათვის შემაფერხებელ თვისებებს“. მას ძალიან ბევრი აქვს შემჩნეული ლათინურ ამერიკულ კულტურებში. ის თვისება, როდესაც კანონს საზოგადოება უყურებს მსუბუქად იმ შემთხვევაში როდესაც ეს ეხება ახლობლებს, მთლიანობაში აფერხებს საზოგადოების განვითარებას. სწორედ იმიტომ არის დასავლეთი განვითარებული, რომ მას სწორედ ეს უნივერსალისტური მიდგომა აქვს. ეს ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი იქნება, და ამას იძლევა მხოლოდ და მხოლოდ განათლება. რადგან თვითონ განათლება არის განვითარებისთვის აუცილებელი და ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი.

ზოგადი გლობალიზაციის შემადგენელ ნაწილს ეკონომიკური გლობალიზაცია წარმოადგენს. მეცნიერების ნაწილს მიაჩნია, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის საწყისი XV საუკუნეა, იქედან გამომდინარე, რომ ევროპელებმა სწორედ მაშინ განახორციელეს აღმოჩენები და საერთაშორისო კომპანიების მაგალითებიც იმ დროიდან იწყება. ხოლო თუ განვიხილავთ „ეკონომიკურ გლობალიზაციას“ როგორც ტერმინს ის პირველად გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა თ.ლევიტომ 1983 წელს და გულისხმობდა ცალკეულ პროდუქტა ბაზრების ურთიერთშერწმის ფენომენს.

დავუბრუნდეთ გლობალიზაციის ეკონომიკურ განზომილებას. ზოგიერთი მიიჩნევს გლობალიზაციას იმ ძალად რომელიც შესძლებს მსოფლიოს ხალხების ეკონომიკური მდგომარეობის გათანაბრებას. ამგვარი იმედი ემყარება ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიას, რომლის მიხედვით ნამდვიად თავისუფალ მსოფლიო

ბაზარზე მოვლენები შემდეგნაირად უნდა განვითარდეს: კაპიტალმა მდიდარი ქვეყნბიდან უნდა გადაინაცვლოს ღარიბ ქვეყნებში და იქ ეძიოს იაფი მუშახელი; ხოლო მუშახელმა იქედან უნდა ეძიოს უფრო მაღალი ანაზღაურება, ანუ იქ უნდა მიდიოდეს სადაც ანაზღაურება უფრო მაღალია. თავის დროზე სწორედ ასე მოხდა, დიდ ქვეყნებში სწორედ ასე გათანაბრდა ცხოვრების დონეები. შეერთებული შტატების მაგალითზე ეს ნათლად ჩანს, მისმა რეგიონებმა 1980-იან წლებში ზუსტად ამ პრინციპით მოახდინეს კონვერგენცია ცხოვრების დონისა. ამის განხორციელება დღესდღეობით პოლიტიკურად პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია. დღეს მსოფლიოში ვერავინ დაუშვებს ნამდვილი თავისუფალი ბაზრის არსებობას, რადგან ეს უკანასკნელი გულისხმობს მუშახელის შეუფერხებელ მიგრაციას. მოგეხსენებათ თუ რა რეაქციას იწვევს დასავლეთის ქვეყნებში ის მინიმალური მიგრაციაც კი, რომელიც იქ არსებობს, თუ როგორ იმატა ამის გამო მემარჯვენე ნაციონალისტი პოლიტიკოსების ხმებმა, ხოლო ზოგმა უკვე შეაღწია მთავრობაში, მაგალითად იტალია, უნგრეთი, ავსტრია. იმ მიგრაციამაც კი, რომელიც ძალიან მცირეა ნამდვილ მოთხოვნილებასთან შედარებით, რომელიც გაათანაბრებს ცხოვრების დონეებს, ამანაც კი შექმნა პოლიკურად სიტუაცია, სადაც აბსოლუტურად შეუძლბელია მატება ამ რიცხვისა. მაგრამ არის სხვა მიზეზიც, რატომაც ვერ განხორციელდება მსგავსი თანასწორობა.

მიგრაციას რომ თავი დავანებოთ, კაპიტალის მოძრაობა და გადაადგილება მდიდარი ქვეყნიდან ღარიბ ქვეყანაში საკმაოდ სარისკო ფაქტორად მიაჩნიათ ინვესტორებს. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს რომ მსგავსი კაპიტალის გადაადგილება არ ხდება. ეს ხდება, თუმცა ძალიან მცირე მასშტაბით. რატომ? იმიტომ, რომ ძალიან უხალისოდ აკეთებს ამას კაპიტალი, ვინაიდან საქმე ეხება პოლიტიკურად სარისკო, კრიმინალურ და კორუმპირებულ კონფლიქტებში გახვეულ სახელმწიფოებს. სულაც არ არის გასაკვირი რომ ასეთი ვითარება არ არის მიმზიდველი ინვესტორისთვის, სადაც ის გრძნობს საშიშროებას. საინტერესოა, რომ პირდაპირი საგარეო ინვესტიციების მხოლოდ 10% მიდის მსოფლიოს 100

განვითარებად ქვეყანაში, დანარჩენი ინვესტიციები 90% ნაწილდება განვითარებულ ქვეყნებს შორის. ეს მომენტი განსაკუთრებით უნდა მივიღოთ ქართველებმა ყურათ. იმიტომ, რომ საქართველოს მომავალი ეკონომიკის გლობალიზაციის განვითარების კონტექსტში დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად მიმზიდველი ვიქნებით უცხოელი ინვესტორებისათვის. გაცნობიერება იმისა, რომ ჩვენ უკვე ჩაბმული ვართ გლობალიზაციის პროცესში ყველასათვის აუცილებელია. უნდა გვახსოვდეს, რომ იმ უამრავ სიკეთესთან ერთად, რომელიც შეიძლება მოგვიტანოს გლობალიზაციამ ინვესტიციების თვალსაზრისით და არა მარტო, აგრეთვე ხდება გლობალიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის გავრცელებაც. სხვათაშორის უნდა ითქვას, რომ საქართველომ პირველად 21 წლის წინათ იგრძნო გლობალიზაციის სუსხი, ეს მოხდა 1998 წელს. როდესაც მოხდა ლარის პირველი დევალვაცია, ანუ როდესაც პირველად გაუფასურდა ლარი. კრიზისი დაიწყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, შემდეგ ნელ-ნელა გადმოედო რუსეთს, და ბოლოს ჩვენამდე მოაღწია. ჩვენ იქამდე ვცხოვრობდით აბრეშუმის პარკში. ასე რომ ვერაფერი ვერ შეაღწევდა საბჭოთა კავშირში გრიპის ეპიდემიის გარდა. სხვა ვერაფერი გადმოვიდოდა ამ საზღვარზე.

რა თქმა უნდა, პატარა ქვეყნებს არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მსოფლიოში მიმდინარე პროსებზე და შეცვალონ მათი გეზი და იდეოლოგიური მიმართება. ამიტომაც, ისინი უნდა შეეცადნონ გამოიყენონ არსებული პროცესები თავიანთ სასარგებლოდ. ამავდროულად მათ უნდა გამოიმუშავონ იმუნიტეტი იმ საშიშროებათა მიმართ, რომლებსაც ეს პროცესები თან ახლავს. გლობალიზაციასთან მიმართებით არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღმართონ ბარიერები, რათა არ დარჩნენ იზოლაციაში, უიმედოდ არ ჩამორჩნენ მათ, ვისაც კარი და თვალი ყოველთვის ღია აქვთ. ასეთი ბარიერები ყოველთვის ქმნის საშიშროებას. ბარიერების აღმართვა ეროვნული თუ რელიგიური იდენტობის დაცვის მიზნით არა თუ თავისუფალ საქართველოში, არამედ ყველაზე ავტორიტარულ კონსერვატიულ რეჟიმშიც კი არ ამართლებს. მსგავსი ბარიერები ბოლოს მაინც იმსხვრევა საღი აზრისა და საერთაშორისო ზეწოლის შედეგად.

ეკონომიკის გლობალიზაციის მრავალი განმარტება არსებობს. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ლ.ტუროუს შემდეგნაირად განმარტავს ეკონომიკის გლობალიზაციის მნიშნველობას: „დღეს შეგიძლია აწარმო რაც გინდა, სადაც გინდა და წარმოებული პროდუქტი გაყიდო ნებისმიერ სხვა ადგილას“[ლ.ტიროუ].

სხვადასხვა მრავალ ფაქტზე დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვართ უზარმაზარი პროცესის პატარა შემავსებელი ნაწილი, რომელსაც გლობალიზაცია ქვია.

გლობალიზაცია თავის თავში გულისხმობს იმ ფაქტორების დინამიურ შემცირებას, რომლებიც აშორებს ქვეყნებს ერთმანეთისაგან და რომლებიც ყოფს მსოფლიოს ეკონომიკურად და სოციალურად.

მოგზაურობა, თავის მხრივ, ტრანსპორტის განვითარების შედეგს წარმოადგენს. დღეს უკვე ნორმალურია იმ საგნების მოხხმარება, როლებიც წაემოებულია სხვა ქვეყანაში. გლობალიზაციამ შესძლო ის, რომ სხვადასხვა ქვეყნის ერები მოიხმარენ განსხვავებული ერების ანუ იმპორტირებულ საქონელს. თუნდაც დღევანდელი ჩემი ნაშრომიც შეიძლება განვიხილოთ გლობალურ ჭრილში. იქედან გაომდინარე რომ წიგნები, რომლებიც, დავუშვათ, ამერიკელი ატორის დაწერილია და გამოქვეყნებულია ამერიკაში, სავსებით შესაძლებელია იყოს სხვა ქვეყანაში მოჭრილი ხეების გადამუშავების შედეგად მიღებულ ფურცლებზე დაწერილი, მაგალითად ბრაზილიიდან იმპორტირებული. საბოლოოდ კი, ვინმემ გამოიწერა ინტერნეტ მაღაზიით, და ამ ფურცლებს მოუხდათ მრავალი ქვეყნის საწყობისა და ტრანსპორტის გამოვლა. ბოლოს კი, ეს წიგნები მოვიდა ჩემამდე. თანამედროვე სატრანსპორტო-ტელეკომუნიკაციური და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად დედამიწა სულ უფრო მეტად „იკუმშება“, დრო „ნელდება“ და მანძლი მოკლდება. ეს კომპლექსური პროცესი კი ქმნის გლობალიზაციის საფუძველს.

ყოფილი პროფესორი და პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი თავის წიგნში წერს:

ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის ტექნოლოგიებს. როგორც ზემოთ ვახსენეთ ერთიან მსოფლიოზე, მსოფლიო მოქალაქეობაზე ფიქრი ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა დაიწყეს. ესე იგი, ამ დროიდან მოყოლებული, ადამიანები ერთმანეთში აწარმოებენ გაცვლებს, იქნება ეს რაიმე საქონელი თუ იდეა. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს პროცესები მიმდინარეობდა ძალიან ნელი ტემპებით, აქედან გამომდინარე, ინფორმაციის გაცვლას ნელი ხასიათი ჰქონდა, ანუ უნდა ითქვას, რომ გლობალიზაცია თანამედროვე ფენომენია. ძირითადი ძვრები ამ კუთხით მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან ხასიათდება, რაც განპირობებულია ტექნოლოგიური წინსვლით და მთავრობათაროსი პოლიტიკით. ამგვარად, ტექნოლოგიური რევოლუციის სწრაფმა გაფართოვებამ დააჩქარა ვაჭრობის, ფულის, ხალხის, ინფორმაციისა და ახალი იდეების გადაადგილება გრძელ დისტანციებზე.

XXI საუკუნემ კომპანიებს დაუმტკიცა, რომ მათი მონაწილეობა და ბრძოლა კონკურენციისთვის არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ბაზარზე დარჩენისათვის. ისინი აქტიურად ერთვებიან ამ ბრძოლაში და მაქსიმალურად ცდილობენ მომხმარებლისთვის ღირსეული და კონკურენტუნარიანი საქონლის შექმნას.

პროდუქტების უმრავლესობას, რომელსაც მოვიხმართ აქვს გლობალური ხასიათი და მნიშვნელობა არ აქვს რომელ ბაზარს განვიხილავთ შიგა ბაზრად; დანარჩენ მსოფლიოს აუცილებლად შეუძლია გაცილებით მეტი საქონლისა და მომსახურების შემოთავაზება გასაყიდად ან შესასძენად.

და როდესაც ვსაუბრობთ გლობალიზაციაზე არ შეიძლება არ ვახსენოთ კავშირები, რომლებიც არის უპირველესი ინსტრუმენტი ამ პროცესის ჯანსაღი განვითრარებისა. ის სხვადასხვა ფორმით გამოვილნდება. ყველაზე მარტივი ფორმა

საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებია, რომლებიც ყოველდღიურად ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნებსა და კომპანიებს შორის. თუმცა, თუ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ კავშირებზეა საუბარი, ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებით. მის მიღმა დგას მრავალი ეკონომიკური სუბიექტის ინტერესები და სტრატეგიული ხედვები.

რომ შევაჯამოთ გლობალიზაციის დადებითი და ნეგატიური მხარე შემდეგ სურათს მივიღებთ:

- **დადებითი მხარე**: ინტეგრაციის გზით გლობალიზაცია ხელს უწყობს სხვადასხვა ერებსა და სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა კავშირების გაღრმავებასა და განმტკიცებას.
- **ნეგატიური მხარე**: ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის შესუსტება და გაერთსახოვნება.

1.2. გლობალიზაციის განვითარების ეტაპები და მიმართულებები

ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი კომპლექსურია და სხვადასხვა ურთიერთზემოქმედების შედეგებს წარმოადგენს. თუმცა ლიტერატურაში გამოყოფენ ძირითად მის ორ მთავარ მხარეს. ესენია:

- ბაზრის გლობალიზაცია;
- წარმოების გლობალიზაცია;

თ.ლევიტი საკუთარ ნაშრომში „ბაზრების გლობალიზაცია“ ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, სოციალურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ მიიყვანა მსოფლიო გლობალიზაციის ეპოქამდე. ეს არის ერთგვაროვანი, სამომხმარებლო გემოვნებებისა და მოთხოვნილებების თვალსაზრისით უნიფიცირებული ბაზარი. თ.ლევიტის მიხედვით ბაზრის შერწყმით სარგებლობენ ის ორგანიზაციები (კომპანიები, ფირმები), რომლებიც გლობალურ დონეზე აწარმოებენ სტანდარტიზებულ საქონელსა და მომსახურებას, მასშტაბის ეკონომიკიის მიღწევის მიზნით. ამის შედეგად მათ შეუძლიათ შეინარჩუნონ დაბალი ფასები ეროვნულ დონეზე ორიენტირებულ კონკურენტებთან შედარებით. მისი აზრით, გლობალური სტრატეგია უნდა ეფუძვნებოდეს სტანდარტიზაციას სამი ძირითადი მიმართულებით:

- საქონელი;
- ბრენდინგი;
- სარეკლამო პოლიტიკა;

ეკონომიკური ცხოვრების მზარდი ინტერნაციონალიზაციის გამო იქმნება საფუძველი კაპიტალისა და წარმოების ტრანსნაციონალიზაციისათვის. ის უდავოდ წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე და წამყვან

ტენდენციას. ეკონომიკური კლასიფიკაციით ის განპირობებულია კაპიტალის მოძრაობის შესაძლებლობით. კაპიტალი შემოედინება იმ ქვეყნებიდან სადაც მისი შედარებით ჭარბი რაოდენობაა, იმ ქვეყნებში სადაც ის დეფიციტურია, სამაგიეროდ ჭარბობს წარმოების სხვა ფაქტორები (მიწა, შრომა, სხვა). ეს ფაქტორები (მიწა, შრომა) ვერ იქნებოდა რაციონალურად გამოყენებული კაპიტალის უკმარისობის გამო. აქედვან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრანსნაციონალიზაციას მივყავართ წარმოების რაციონალიზაციისაკენ. ეს ყველაფერი კი, ხელს უწყობს ეკონომიკური პირობების გათანაბრებას სხვადასხვა ქვეყნებში.

ტრანსნაციონალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე ქვეყანას შორის კაპიტალის მოძრაობაა. აქედან გამომდინარე, ეს პროცესი ინვესიციებთან არის კავშირში. ზოგადად რომ ვთქვათ, ინვესტიციები კაპიტალის დაბანდებაა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ორგანიზაციებსა და წარმოებებში.

ტრანსნაციონალიზაციის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს წარმოების გლობალიზაცია. ის თავის თავში გულისხმობს, რომ ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების წარმოება შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. ძალიან მარტივია რესურსების მოპოვება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, საწარმოების განლაგება და რეალიზაცია. თავისუფლად არის შესაძლებელი ადგილის შეცვლა იმის მიხედვით თუ რამდენად უმჯობესდება პროცესი, და რამდენად მცირდება საწარმოო ხარჯები. [1]

ეკონომიკური გლობალიზაცია დღემდე მოყოლებული სხვადასხვა ასპექტით ვითარდებოდა და განაგრძობს განვითარებას დღემდე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მოიცავს არსებული მიზნის კვვლევას არის ფინანსური გლობალიზაციის საკითხი. ის წარმოადგენს უნივერსალური გლობალიზაციის ნაწილს, რომელიც აღნიშნულის გარდა სხვადასხვა ასპექტებსაც მოიცავს.მათ შორის არის:

[1]ვეშაპიძე შ. „მსოფლიო ეკონომიკა“

- კულტურული;
- იდეოლოგიური;
- პოლიტიკური;
- სამართლიანი;
- სოციალური და „ფიზიკური“ ეკონომიკის სფერო;

ფინანსური გლობალიზაციის საკითხი წამოიჭრა 1980-1990-იან წლებში. თუმცა მისი პირველი გამოვლინება 70-იანი წლებიდან იწყება. და ის მოიცავდა ორ მნიშვნელოვან გარემოებას:

მსოფლიო სავალუტო სისტემაში ფიქსირებული სავალუტო კურსის შეცვლას მცურავ სავალუტო კურსზე. ამან ბარიერები მოუხსნა კაპიტალის საერთაშორისო გადაადგიელბას. თავდაპირველად ეს განხორციელდა მსოფლიოს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში. ცოტა მოგვიანებით კი, 90-იანი წლების დასაწყისში განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებშიც.

გასული საუკუნის 70-იანმა წლებმა პოზიტიური გავლენა მოახდინა ნავთობმომპოვებელ ქვეყნებზე, რაც დიდწილად „ნავთობის შოკის“ დამსახურებაა. რაში მდგომარეობდა „ნავთობის შოკი“?! ამან ბიძგი მისცა ნავთობმომპოვებელ ქვეყნებს ორგანიზაციული გაერთიანებისაკენ, რამაც საბოლოო ჯამში საშუალება მისცა ამ ქვეყნებს საგრძნობლად აეწიათ ფასი ნავთობზე და შესაბამისად დიდი მოგება მიეღოთ. ამოღებული ვალუტა განთავსდა აშშ-ში, იაპონიასა და დასავლეთ ევროპის უმსხვილეს ბანკებში. ამან მნიშვნელოვანწილად გაზარდა მათი საკრედიტო რესურსები, გააძლიერა საკრედიტო ექსპანსია. გაცემული სესხების უმეტესი ნაწილი განვითარებად ქვეყნებზე მიდიოდა, რაც საგრძნობლად აჩქარებდა მათ ინტეგრაციას მსოფლიოს განითარებულ ქვეყნებთან. აქედან გამომდინარე, 70-იანი წლების ბოლოდან ყველანაირი საფუძველი ჩაეყარა ფინანსური ბაზრების გლობალიზაციის განვითარების ეტაპტს.

ფინანსური გლობალიზაცია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტით გამოიხატება, რომლებსაც შეგვიძლია მისი დამახასიათებელი ნიშანი ვუწოდოთ. მაგალითად, ფინანსურ სფეროში ძალიან დიდი ღირებულების შექმნა და დაგროვება. ეს კი, რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება:

- სასესხო კაპიტალის;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების;
- პორტფელური ინვესიტიცების;
- ვალუტის ბაზრის გიგანტური ზრდა;

ეკონომიკის გლობალიზაციის შემადგენელი ნაწილია ტრანსეროვნული კორპორაციები. ამერიკელი მეცნიერი გ.არტუსი აღნიშნავდა: "ტრანსეროვნული კორპორაციების გარეშე გლობალიზაცია თითქმის შეუძლებელია".

ტრანსეროვნული კორპორაციები ისეთი სახის კორპორაციებია, რომელათვის უცხო ქვეყანაში საქმიანობა უფრო ნიშანდობლივია ვიდრე საკუთარ ქვეყანაში. ისინი წარმოადგენენ ინტეგრირების მთავარ ძალას. იმისათვის რომ მსოფლიო მიზანს მიაღწიონ ისინი ახერხებენ ეროვნული მთავრობების დაძლევას. მათი გლობალური წარმოებიდან გამომდინარე უზარმაზარი ძალაუფლება გააჩნიათ, რომელიც ეხმარებათ გვერდი აუარონ ეროვნულ ეკონომიკურ საზღვრებს, პოლიტიკურ სისტემებსა თუ სხვა ძალაუფლების ცენტრებს. რა თქმა უნდა, ლიდერული კორპორაციების მიზანი არის გლობალური, თუმცა, ამავდროულად ვიწროეროვნული. ამიტომაც, გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციას, ამავდროულად შეუძლია ბიძგი მისცეს პოლიტიკურ და სოციალურ დიზინტეგრაციას. [2]

[2] მექვაბიშვილი ე. „ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები", თბილისი 2009

ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოშვების ორი ძირითადი მიზეზი არსებობს. ესენია:

პირველი: ეროვნულმა საწარმოებმა ისეთი მასშტაბური ზრდა დაიწყეს, რომ სახელმწიფო საზღვრები ვიწრო აღმოჩნდათ მათთვის. შესაბამისად, საკითხი შემდეგნაირად დაისვა - საერთაშორისო მასშტაბით ექსპანსია დაიწყეს. ამ ტიპის კლასიკური მაგალითებია ტრანსნაციონალური კორპორაციები ისეთები, როგორც:

- „ფორდი“;
- „კოკა-კოლა“;
- „მაკდონალდსი“;
- და სხვები;

მეორე გზა არის სხვადასხვა ფირმების გაერთიანება, რათა მოხდეს „მულტიეროვნული“ ანუ „ეროვნებათაშორისი“ კორპორაციების წარმოქმნა. ამის ტიპური მაგალითია ინგლისურ-ჰოლანდიური ნავთობმწარმოებელი კომპანია „როიალ-დატჩ-შელი“.

ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოშვებას უბიძგებს კონკურენციის არსებობა. ამ მიზნით ფირმები ერთიანდებიან, დააქვთ საერთო მიზანი- გაძლიერდნენ ბაზარზე, იყვნენ კონკურენტუნარიანები. ამისთვის მასშტაბის გადიდების გზით ფირმები ამცირებენ დანახარჯებს. მასშტაბის ეკონომია შეეხებააბსოლუტურად ყველა სფეროს: წარმოებას, მარკეტინგს და რეალიზაციას. გასაღების ძალიან კარგ მაგალითს გვიჩვენებს „კოკა-კოლა“, რომლის სტრუქტურა არის იაფი მუშახელი და საგადასახადო შეღავათების ძიების მუდმივ პროცესში ყოფნა.

თანამედროვე სამყაროს განვითარების ერთ-ერთი განსაკუთრებული თვისება არის დაჩქარებული ტემპით განხორციელებული გლობალიზაცია. გლობალიზაციის პროცესები ეხება ადამიანების ცხოვრებას მრავალფეროვან ასპექტებში: ეკონომიკა,

პოლიტიკა, კულტურა, მეცნიერება, განათლება, უსაფრთხოება, იდეოლოგია, გარემო და ა.შ... გლობალიზაციის ეკონომიკური განზომილება შეიცავს სახელმწიფოთაშორისო გაცვლას როგორც საქონლისა და მომსახურების, ასევე კაპიტალისა და ინფორამაციის. მთლიანობაში მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია შეიძლეა შემდეგნაირად დავახასიათოთ: ეს არის პროცესი, სადაც ქვეყნების ნაციონალური ეკონომიკები ურთიერთდაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, და პირდაპირ თუ ირიბად ახდენენ ერთმანეთზე გავლენას განსხვავებულ სფეროებსა და პროცესებში.

უკანასკნელი წლებში განსაკუთრებული აქტუალურობით გამოირჩევა და ხასიათდება ამ პროცესისადმი ინტერესი ადამიანების მხრიდან. საზოგადოების გარკვეული წრეების დიდ პროტესტსაც კი იჩენს აღნული საკითხი. გლობალიზაციის მოწინააღდმეგეები, ანუ ანტიგლობალისტები, გამოთქვამენ პროტესტს ამ პროცესის მიმართ. მათი პროტესტის ძირითადი მიზეზი უკავშირდება უთანასწორობის მოლოდინს და ასევე ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდას.

იმის მიუხედავად, რომ გლობალიზაცია უკანასკნელ წლებში იქცა ფართო მიმოხილვის თემად, თვითონ სიტყვა „გლობალიზაციამ“ საერთაშორისო ლექსიკონში თავი დაიმკვიდრა 1990 წელს. თუ განვიხილავთ გლობალიზაციას, როგორც ეკონომიკების დაახლოვბის პროცესს, ერთიანი მსოფლიო ეკონომიკის სივრცედ ქცევის მოდელს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაცია კაცობრიობის არსებობიდან ყოველთვის იყო. თუმცა ეს არ იყო მდგრადი პროცესი. მთელი ამ დროის მანძილზე ვითარდებოდა შრომის საერთაშორისო დანაწილება, საგარეო ვაჭრობა, ფორმირდებოდა საერთაშორისო წარმოების კოოპერაცია. მთლიანობაში ხდებოდა ნაციონალური ეკონომიკების უერთიერთდაკავშირება.

ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებას თანამედროვე გლობალიზაციის პროცესისა. თუმცა, როგორც ბევრი მკვლევარი მიიჩნებს, გლობალიზაციის პროცესი დაიწყო გაცილებით უფრო ადრე,

მე-19 საუკუნის დასაწყისში. ის იყო სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის შედეგი, რომელმაც საგრძნობლად შეამცირა სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ხარჯები.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გავხადოთ, თუ რატომ არ წარმოადგენს გლობალიზაცია მხოლოდ უკანასკნელი ათწლეულების შედეგს შედარებებს მოვიყავნ მე-19 და მე-20 საუკუნის პროცესებისა. ეს, ცხადია, არის ორი პერიოდი ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდის მდგრადობისა მსოფლიო ეკონომიკაში. მე-19 და მე-20 საუკუნეში ხორციელდებოდა საერთაშორისო ვაჭრობის სწრაფი განვითარება. ვინაიდან, ექსპორტზე მოთხოვნა (წლიური 3,5%) საგრძნობლად აღემატებოდა რეალური წარმოების მოცულობას (წლიური 2,7%). საერთაშორისო ექსპორტის წარმოების წილმა პიკს 1913 წელს მიაღწია, რომელიც არ განმეორებულა 1970 წლამდე. საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა, ძირითადად, გამოწვეული იყო იმპორტის ტარიფის შემცირებით. თუმცა ეს არ ყოფილა ამის ერთადერთი მიზეზი. რადგან უფრო მნიშნელოვანი მიზეზი გახდა ამავე წლებში ტრანსპორტირების ხარჯის მკვეთრი ვარდნა. ამავე პერიოდში უზარმაზარ მასშტაბებს მიაღწია სამუშაო ძალის ევროპული ქვეყნებიდან ემიგრაციამ (მოსახლეობის საერთო რიცხვის 5-7%). სამწუხაროდ პირველი მსოფლიო ომმა და დიდმა პროცესმა დაასრულა განვითარების პროცესი.

ამჟამად, დაწყებული არის გლობალიზაციის ახალი თანამედროვე ეტაპი. ბოლოდროინდელი კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები (პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციები) თითქმის 7-ჯერ გაიზარდა.

აუცილბელია აღინიშნოს, რომ გლობალიზაცია, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, შესაძლებელი ვერ იქნებოდა ახალი საკომუნიკაცო საშუალებების გაჩენის გარეშე. ინფორმაციის მიღების, გადამუშავების და გავრცელების თანამედროვე სისტემებმა შესაძლებელი გახადა შექმნილიყო გლობალური საკომუნიკაციო ქსელები, რომლებიც აერთიანებენ ფინანსურ და სავაჭრო ბაზრებს ერთიან

ეკონომიკურ მექანიზმში. თანამედროვე კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა, ოპტიკურმა ქსელებმა შესაძლებელი გახადა ინფორმაციის, პრაქტიკულად, მომენტალურად გავრცელება, გარიგებები და ხელშეკრულებების დადება, ფულადი სახსრების ერთი ანგარიშიგან მეორეზე გადატანა მანძილების და სახელმწიფო საზღვრების სიშორის მიუხედავად. პარტნიორების ტერიტორიული სიშორე დღევანდელ პირობებში აღარ წარმოადგენს მათი ეკონომიკური თანამშრომლობისთვის დაბრკოლებას. ყველაფერი ეს ზემო აღნიშნული, უთუოდ, ქმნის ერთიანი საერთაშორისო ეკონომიკის სივრცეს.

მთლიანობაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გლობალიზაცია, რომელმაც მოიცვა ყველა რეგიონი პრინციპულად ცვლის შიგა და გარე ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულბას ერმანეთთან. აცერთ სახელმწიფოს არ ძალუძს ეკონომიკური სტრატეგიების განვითარება და რაციონალური ფორმირება გარე სამყაროში მიმდინარე პროცესების გათვალისწინების გარეშე.

გლობალიზაციის პოზიტიურ შედეგებზე საუბრისას, რომ ეკონომიკის გახსნილობა, გლობალიზაციის პროცესში ჩართულობა არის ერთ-ერთი საკვანძო ფაქტორი დაჩქარებული ეკონომიკური ზრდისა. იმ ქვეყნებმა, რომლებმაც ეკონომიკური გახსნილობის გზას დაადგნენ მიაღწიეს მნიშვნელოვან ეკონომიკურ განვითარებას. ამავდროულად, როგორც კვლევებმა გვიჩვენა, ისეთი ზრდის სტრატეგია, რომელიც იზიარებს იდეოლოგიას იმპორტის ჩანაცვლეობის შესახებ, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზღუდავს გარე ეკონომიკებთან კავშირებს, ფიასკო განიცადეს, ანუ სრული კრახი. ვინაიდან, უკანასკნელ ხანებში არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ ქვეყნები, რომლებიც ასეთ იდეოლოგიასა და სტრატეგიას იზიარებდნენ მიაღიწეს რაიმე ღირებულ ეკონომიკურ ზრდას.

ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარება, იმ ქვეყნებში, რომლებიც იზიარებენ და აქტიურად ჩართულნი არიან გლობალიზაციის პროცესებში, აიხსნება ერთრდოულად რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორით, საიდანაც

განსაკუთრებული გამორჩეულობითა და მნიშვნელოვნებით სარგებლობს შემდეგი ფაქტორები. ესენია:

1. **შრომის საერთაშორისო დანაწილება და წარმოების სპეციალიზაცია,** რაც უზრუნველყოფს რესურსებით უფრო ეფექტურად გამოყენებას;
2. **მასშტაბის ეკონომიის** პრინციპი, რომელიც ორიენტირებულია მთელს მსოფლიოზე;
3. **კონკურენციული ბრძოლის გამძაფრება,** რომელიც ასტიმულირებს წარმოებას მთელ მსოფლიო ბაზარზე;
4. **ფინანსური ბაზის გაფართოვება ინვესტირების ზრდით;**

საერთაშორისო ეკონომიკის მყისიერი გლობალიზაცია, განსაკუთრების ბოლო წლებში, ხასიათდება ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ზრდით და ხარისხიანი განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების ამოქმედებით.

ამასთან ერთად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის დადებითი და პოზიტიური შედეგების საერთო ტენდენციის მიუხედავად, ეს პროცესი არ გამოდგა ყველა ქვეყნისთვის თანაბრად სიკეთის მომტანი. თუმცა ერთი კი ნათელი გახდა - მსოფლიოს მთლიანი მოსახლეობის შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ყველა ქვეყანას არ გააჩნდა მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი. ამიტომ, სხვაობა ერთ სულ მოსახლეზე ქვეყნებში გაზრდილია. რიგ ქვეყნებში კი, უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, მოსახლეობას შორის უთანასწორობა გაიზარდა და გაძლიერდა. ბევრი მიიჩნებს და ადანაშაულებს ამ ყველაფერში გლობალიზაციას. და პროპაგანდრებას უწევს ამ პროცესის აქტიურად შეჩერებასა და შეაკვებას. თუმცა, ობიექტური კველევებზე დაყრდნობით ნათელი ხდება, რომ განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის უთანასწორობის პრობლემის

ძირითად მიზეზი და სათავეა მომუშავება კვალიფიკაცია და პროფესიული გადამზადება. თუ განვიხილავთ განვითარებული ქვეყნების ჯგუფს, შევამჩნევთ, რომ უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მაჩვენებლები საგრძნობლად უახლოვდება ერთმანეთს. განვითარებად ქვეყნები, რომლებიც აქტიურად ჩართულნი არიან გლობალიზაციის პროცესებში შესამჩნევია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები და შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე იზრდება განვითარებულ ქვეყნებზე უფრო სწრაფად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია რეალურ პრობლემებს უქმნის გარკვეულ ქვეყნებს. ამძაფრებს რამდენიმე ნეგატიურ ტენდენციას, რომელიც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის. თუმცა, გლობალიზაცია, თავის მხრივ, წარმოადგენს ობიექტურ და შეუქცევად პროცესს. განვითარება შესაბამისობაში მოდის გარკვეულ კანონზომიერებებთან. გლობალიზაციასთან ბრძოლა იგივეა, რაც პროგრესის შეჩერების მცდელობა. ამიტომაც, თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება ადეკვატური სოციალური პოლიტიკის ქცევა, ფინანსური კოტროლის განხორციელება და სახელწმფიო მხრიდან რეგულაცია. ასევე ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო კოორდინაციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ამოსავალი ამოცანაა იმ შესაძლებლობების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს განვითარებისთვის დაჩქარებულ შედეგებს.

1.3. ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევები

გლობალიზაციის მომხრეები, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებენ გლობალიზაციის დადებით მხარეებზე. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ გლობალიზაციას მთელი მსოფლიოსთვის შეუძლია უზარმაზარი სარგებლის მიცემა. ვაჭრობაზე საზღვების მოხსნამ და კონკურენციის გამძაფრებამ უბიძგა მეწარმეებს ღირებული პროდუქციის შექმნისაკენ, რათა არ დამარცხდნენ კონკურენტულ ბრძოლაში, შესაბამისად, გლობალურად მოქმედება დაიწყეს.

გლობალიზაცაში უზარმაზარი წვლილი მიუძღვის ახალი ტექნოლოგიების განვითარებას. ტექნოლოგიური პროგრესი ყოველთვის ეკონომიკური ზრდის გარანტია. ახალი ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად ვრცელდებადა. ქვეყნები, რომლებიც ამ ტექნოლოგიების დახმარებით აწარმოებენ საქონელს იმარჯვებენ კონკურენციულ ბრძოლაში და ბაზარზე ლიდერულ პოზიციებს იკავებენ. უამრავი პოზიტიური მხარე აქვს გლობალიზაციას. მათ შორის შრომის საერთაშორისო დანაწილება, მასშტაბის ეკონომია, თავისუფალი ვაჭრობის ურთიერთსარგებელი. შრომის მწარმოებულურობის ამაღლება, ტექნოლოგიური პროგრესის წახალისება, ფინანსური რესურების მობილიზება, საერთო საკაცობრიო პრობლემების კოორდინირებულად გადაწყვეტა[3].

დადებითი ეფექტის მომტანი პროცესია ყველა განვითარებადი ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც. იქედან გამომდინარე, რომ მთლიანი შიგა პროდუქტი ერთ სულზე ისედაც დაბალია, გასაგები ხდება რომ ისედაც შეზღუდული ტევადობის ბაზარი უფრო მეტად ვიწროვდება. ბაზრის გაფართოვება ბევრი გზით არის შესაძლებელი. თუმცა არ იქნება საკმარისი მხოლოდ შიგა ბაზრის დახმარებით, იქედან გამომდინარე, რომ შედეგი საკმაოდ მოკრძალებული იქნება. თუ ჩვენ გლობალურად ვიმოქმედებთ, გლობალიზაციის პროცესი ზუსტად იმის საშუალებას

[3]ტომპსონი გ., პერსტი.პ. „გლობალიზაცია კრიტიკული ანალიზი“

გვაძლევს რომ განვავითაროთ და გავზარდოთ შიგა და გარე ბაზარი მრავალმხრივი შეთანხმების გამოყენებით.

ბაზრის გაფართოვება გადამწყვეტ როლს თამაშობს ინვესტიციების მოცულობის ზრდაში. საბაზრო ეკონომიკის მიხედბით ინვესტიციების ზრდა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს საქონლის გასაღების ბაზარი. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ბაზარი გლობალიზაციის შედეგად გაფართოვდება ეს მიცემს უცხოელ ინვესტორებს სტიმულს ჩამოვიდნენ და გააკეთონ დაბანდებებნი და შემოიტანონ ახალი ტექნოლოგიები. ამას მოსდევს ადგილობრივი მუშახელის დასაქმების ზრდა და საქართველოს ბუნებრივი რესურსების გამოყენება ახალი პროდუქციის საწარმოებლად. წარმოებული პროდუქცია შემდგომ გატანილი იქნება რეგიონულ და მსოფლიო ბაზრებზე, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან შემოსავლებს მოუტანს საქართველოს. გლობალიზაციით შექმნილი ხელსაყრელი პირობები მიმზიდველი გახდება ინვესტორებისთვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყანას ინვესტიციური რესურსების ეფექტიან მიმოქცევას.

გლობალიზაციას უარყოფითი შედეგების მოტანაც შეუძლია. ეკონომისტები საუბრობენ რამდენიმე ნეგატიურ შედეგზე, რომელიც შეიძლება მოიტანოს გლობალიზაციამ. ესენია:

- ქვეყნებს შორის არათანაბარი განაწილება;
- სახელმწიფო როლის შემცირება სოციალურ სფეროში;
- სოციალური დაძაბულის ზრდა;
- დასავლური ღირებულებების თავს მოხვევა;
- ეროვნული ტრადიციების უგულებელყოფა;

მის ყველაზე მტკივნეულ და ნეგატიურ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს რომელიმე ერთი მსხვილი განვითარებული ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის სწრაფად გავრცელება მსოფლიოს სხვა ქვეყნებზე. ამის ძალიან ბევრი

მაგალითი არსებობს მსოფლიო ეკონომიკაში. თუნდაც, ჯერ კიდევ ბოლომდე დაუძლეველი გლობალური ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, რომელსაც საფუძველი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაეყარა და სწრაფად გავრცელდა და მოედო მთელს მსოფლიოს. [4]

ასევე გლობალიზაციის ყველაზე მწვავე პრობლემად საქართველოსთვის და სხვა განვითარებად ქვეყნებზე არის ის ფაქტი, რომ გლობალიზაციის პროცესში ჩართვა გულისხმობს საბაჟო გადასახადის შემცირებას. რატომ არის ეს პრობლემა?! ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია. სავაჭრო შეზღუდვებისა და ბარიერების შემცირება ხელს უწყობს და უმარტივებს უცხოურ კომპანიებს შემოიტანონ თავიანთი, ანუ უცხოური პროდუქცია. ეს გამოიწვევს საქართველოს ბაზრების გავსებას ამ უცხოური საქონლით და შედეგად მივიღებთ ქართული ეროვნული ბაზრის, საწარმოების და სამეურნეო საქმიანობის ჩახშობას. ეს მოხდება იმიტომ, რომ ქართული ადგილობრივი საწარმოები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ არიან აღჭურვილნი თანამედროვე ტექნიკითა და ახალი ტექნოლოგიებით, რის გამოც დაბალია შრომის ნაყოფიერება. აქედან გამომდინარე, შესაბამისად, დაბალია პროდუქციის ხარისხიც და მაღალია თვითღირებულება. ეს ყველაფერი ართულებს უცხოურ პროდუქციასთან კონკურენციას და ალბათ შეუძლებელსაც ხდის.

ამას გარდა გლობალიზაციის ერთ-ერთი უარყოფითი მხარეა ისიც, რომ გარდა პროგრესული ეკონომიკური ძალებისა გლობალიზაციის პროცესში იმავდროულად ერთვებიან ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლები, მაფიოზური და ტერორისტული ორგანიზაციები. ეს ქსელები ვრცელდება მთელს მსოფლიოზე, ამიტომ დაზღვეული არცერთი ქვეყანა არ არის.

თუმცა, ზემოთ აღნიშნული უარყოფითი მხარეების მიუხედავად გლობალიზაციის პროცესის თავიდან არიდება შუეძლებელიც კი არის. მას ალტერნატივა ფაქტიურად არ აქვს, რის გამოც მასზე თავის არიდება ნიშნავს ქვეყნის

[4] ტომპსონი გ., პერსტი პ. „გლობალიზაცია კრიტიკული ანალიზი“

იზოლაციას მსოფლიოსგან. ის უნდა შეფასდეს, როგორც პოზიტიური კანონზომიერება, რომელიც ეხმარება მსოფლიოს აბსოლუტურ უმრავლესობას წინსვლაში და განვითარებაში. მთავარი კი ის არის, რომ ქვეყნებს უნდა გააჩნდეთ უნარი გლობალური პროცესების გარჩევისა, და იმის ღონე, რომ თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი შედეგები.

პირველი ნაბიჯები, რომელიც საქართველომ გადადგა გლობალიზაციის კუთხით იყო მაშინ, როდესაც გაიხსნა საქონლისა და მომსახურების ბაზრები, დაიწყო ინვესტორთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, როდესაც საქართველო გაწევრიანდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

მსოფლიოს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იმისთვის რომ დავადგინოთ ქვეყნის განვითარების დონე აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ რაიმე კრიტერიუმებით, რომლებითაც შევძლებთ შედარების მოხდენას. სწორედ ამისთვის გამოიყენება გლობალიზაციის ინდექსი. ზოგადად, ქვეყნის გლობალიზაციის ინდექსი გვიჩვენებს იმას, თუ რამდენადაა ზემოთ აღნიშნული ინტეგრირებული მსოფლიოს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებში.

ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით საქართველოს მსოფლიო რეიტინგში, 178 ქვეყანას შორის, ამჟამად მე-18 ადგილი უკავია, ხოლო უბრალოდ გლობალიზაციის მიხედვით 45-ე ადგილზეა.

სავაჭრო პოლიტიკისადმი ლიბერალურმა მიდგომამ და უცხოური კაპიტალის თავისუფალმა ვაჭრობამ შეუწყო ხელი საქართველოს გამხდარიყო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყნა გლობალური თვალსაზრისით, მოწინავე ქვეყნებს შორის. თუმცა, ერთი შეხედვით, ამგვარი მოწინავე პოზიცია უფრო მომავლის პერსპექტივების ამსახველია, ვიდრე შედეგის, რადგან გადასადგმელი ნაბიჯები ამ მიმართულების საქართველოს ჯერ კიდევ ძალიან ბევრი აქვს.

ცხრილი 1. საქართველოს მაჩვენებლები ეკონომიკური გლობალიზაციის საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით

ადგილი	ქვეყანა	ქულა
1	სინგაპური	92.5
2	ჰონგ კონგი	90.1
3	ნიდერლანდები	89.3
4	ბელგია	89.2
5	მალტა	86.7
6	ირლანდია	86.2
7	ლუქსემბურგი	85.5
8	ესტონეთი	84.3
9	შვეიცარია	83.8
10	უნგრეთი	83.0
18	**საქართველო**	**79.5**
51	სომხეთი	67.3
75	აზერბაიჯანი	60.1
89	უკრაინა	56.2
100	თურქეთი	52.4
108	რუსეთი	51.0

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგარი განვითარების სამინისტრო.

იმისთვის, რომ კიდევ უფრო ნათელი გავხადოთ შეხედულება ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ და უცხოური კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტები.

საერთაშორისო ვაჭრობის მახასიათებელია სპეციალიზაცია იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომლის წარმოებაც ქვეყანას იაფი უჯდება. ეს მეთოდი „შეფარდებითი უპირატესობის“ მეთოდით არის ცნობილი. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყანა ქმნის ისეთ საქონელსა და მომსახურებას, რომლის წარმოება უფრო იაფი უჯდება, რათა ძვირად გაყიდოს საზღვარგარეთ (ანუ ექსპორტი განახორციელოს). და პირიქით - იაფად შემოაქვს ის საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოება ადგილობრივ ბაზარზე ძვირი უჯდება (იმპორტი). შესაბამისად ადამიანების დანაზოგები იზრდება. ეს კი, თავის მხრივ, ინვესტირებისთვის და ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი პირობაა.

მეორე კრიტერიუმი, როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ არის - უცხოური კაპიტალის შემოდინება. განვითარებისთვის ხელშემწყობი და აუცილებელი პირობაა ინვესტიცია, რომელიც თავის მხრივ შეიძლება იყოს შიგა და გარე. რა განსხვავებაა ამ ორი სახის ინვესტიციას შორის, და რატომ ჯობია მოვიზიდოთ უცხოური ანუ გარე ინვესტიცია?! პირველ რიგში უნდა განისაზღვროს, რომ ინვესტიცია არის ხალხების დანაზოგი. როდესაც ლაპარკია შიგა ინვესტიციებზე - იგულისხმება ქვეყნის შიგნით არსებული ადამიანების (მოსახლეობის) დანაზოგები, ხოლო გარე ინვესტიციაში იგულისხმება - სხვა, ანუ უცხო ქვეყნების მოსახლეობის დანაზოგები. ცალსახაა, რომ რაც არ უნდა მდიდარი იყოს ქვეყანა და შესაბამისად იმავე ქვეყნის მოსახლეობა, მათი დანაზოგების სიდიდე ვერ გადაწონის დარჩენილი მსოფლიოს ადამიანთა დანაზოგების სიდიდეს. მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა შეიძლება მხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოზიდვით. განვითარებადი ქვეყნები უფრო არიან დაინტერესებულნი რომ მოიზიდონ უცხოური ინვესტიციები.ამისთვის ისინი ხელსაყრელ გარემოს უქმნიან ინვესტორებს.

საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ქულა 2019 წლის უკანასკნელი მონაცემებით არის 75.9 , რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მე-16 ადგილს. გასულ წელთან შედარებით ქვეყნის ქულა 0,3 პუნქტით

შემცირდა, რაც გამოწვეულია სასამართლო ეფექტურობის მკვეთრი ვარდნით, სახელმწიფო მთლიანობისა და ფულადი თავისუფლების შემცირებული ქულებით. საქართველოს ევროპის 44 ქვეყანას შორის მე-8 ადგილი უჭირავს. მისი საერთო ქულა რეგიონუალურ და მსოფლიო საშუალო ქულას აღემატება.

ცხრილი 2. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო





2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდი საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებებით და პროგრესით გვევლინება. წარმატებით განხორციელებულმა რეფორმება ხელი შეუწყო კორუფციის მკვეთრ ვარდნას. შესაბამისად, ამან თავის მხრივ, უზრუნველყო გამარტივებული გადასახადები, გახსნილი ბაზრები და განვითარებული და გაუმჯობესებული სატრანსპორტო და

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის შექმნა. ამგვარი მიდგომის მიზანი იყო უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ფაქტია, რომ ამ პოლიტიკამ წარმატებით იმუშავა. დღეის მდგომარეობით, ჩვენ უფრო მეტი გვაქვს სამუშაო სასამართლოს დამოუკიდებულობის და ნდობის ამაღლებისათვის. ეს აუცილებელი ფაქტორია ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარებისთვის.(www.heritage.org, 2019)

ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის დადგენის მეთოდოლოგია დაფუძვნებულია ათი მაჩვენნებლის საშუალო არითმეტიკულის გაანგარიშებით. ესენია :

- ბიზნესის თავისუფლება;
- ვაჭრობა;
- ფინანსური სექტორი;
- ინვესტიციები;
- შრომა;
- მონეტარული თავისუფულება;
- ფისკალური თავისუფლება;
- საკუთრების უფლების გარანტია;
- ბიუროკრატიის ზომა;
- სასამართლო ეფექტურობა (საიმედოობა);

აქედან გამომდინარე, „აბსოულუტურად თავისუფალ“ ეკონომიკის ქულა 100-ს უნდა უტოლდებოდეს, ხოლო იქ სადაც თავისუფლება მაქსიმალურად შეზღუდულია 0-ის ტოლი უნდა იყოს.

ამ ინდექსის შედეგების გათვალისწინება ძალიან ბევრი მიზეზის გამოა აუცილებელი. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ინვესტორები ძირითად შემთხვევებში სწორედ ამ ინდექსზე დაყრდნობით აკეთებენ თავიანთ არჩევანს თუ

რომელ ქვეყანაში დააბანდონ თანხა. ერთის მხრივ მრავალწლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მაღალი თავისუფლების მქონე ქვეყნები უფრო მეტი დემოკრატიულობითა და საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის მეტი სიმდიდრით, ჯანმრთელობითა და განათლებულობის დონით გამოირჩევიან. ამას კიდევ სხვა გადმოსახედიც აქვს, ვინაიდან, ის გვეხმარება ჩვენი ნაკლოვანებების გამომჟღავნებაში. ხოლო ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ სწორად გავანაწილოთ ბიუჯეთი იმ დარგებში, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებს ყურადღებას და შესაბამისად გამოსწორებას.

საქართველოს ეკონომიკას საკმაოდ დადებითი შეფასება აქვს მსოფლიო ბანკის და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად. გაკეთებული შეფასებების მიხედვით საქართველოს ეკონომიკამ საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია ლიბერალიზაციის თვალსაზრისით. კერძოდ :

- ლიბერალური საგარეო ვაჭრობა ;
- ინვესტორებისთვის ხელსაყრელი პირობები ;

ეს მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოც ცდილობს იყოს მიმზიდველი მსოფლიოს ქვეყნებისთვის. გლობალიზაციაც სწორედაც რომ ემსახურება იმას, რომ ეკონომიკა არ იყოს ჩაკეტილი 70 ათას კილომეტრის ფართობზე და მისაწვდომი იყოს არა მხოლოდ 3,7 მილიონი ადამიანისთვის.

თავი II. საქართველოს ეკონომიკა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში

2.1. მსოფლიოს თანამედროვე ფინანსური კრიზისები და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

როდესაც ვსაუბრობთ გლობალიზაციაზე, არ შეიძლება არ შევეხოთ მის უარყოფით შედეგებს. თუ გლობალიზაციისთვის დამახასიათებელი არის მისი შედეგების გავრცელება ქვეყნებს შორის, ცალსახაა რომ ეს შედეგები ყოველთვის მარტო კარგი თითქმის შეუძლებელია იყოს.

როგორც ვიცით კრიზისი, რომელიც დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში მთელ მსოფლიოს შეეხო. ეს შედეგი სრულიად მოსალოდნელი იყო, რადგან ბაზრები იმდენად არიან ურთიერთდაკავშირებულნი, რომ ცვლილებები პრაქტიკულად მომენტალურად მოქმედებს ამ გაერთიანებულ სისტემაზე. გასაკვირი არ არის, რომ ამ კრიზისმა თავისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზეც მოახდინა. ამ შემთხვევაში კრიზისის შედეგების დადგენა რამდენიმე სირთულესთან არის დაკავშირებული. ეს იმიტომ, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმა, ბუნებრივია, გადაფარა ყოველგვარი სირთულეები. ამდენად, კრიზისის შედეგების და ომით მიყენებული ზარალის ერთმანეთისგან გამიჯვნა საკმაოდ რთულია. თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს ფინანსური სექტორის შედარებით დაბალი განვითარების გამო გავლენა კრიზისის საკმაოდ სუსტი იყო.

ფინანსური სექტორის კრიზისმა გაგრძელება იპოვა რეალური სექოტრში, რაც საკმაოდ მტკივნეული მომენტი იყო საქართველოსთვის, იქედან გამომდნარე რომ საქართველო მცირე ღია ეკონომიკაა. ეს ძირითადად შეეხო საერთაშორისო ვაჭრობას. გლობალურმა კრიზისმა გავლენა იქონია ლითონისა და მადნების ფასზე. საკმაოდ დაეცა მათზე ფასი. ეს უარყოფითი შედეგის მომტანი იყო საქართველოსთვის,

ვინაიდან იმ დროინდელი საქართველოსთვის ლითონის ჯართი, მადნები და ლითონშენადნობები ძირითადი საექსპორტო საქონელი იყო. ეს იყო პირდაპირი მიზეზი საექსპორტო შემოსავლის დარტყმისა საქართველოში



არანაკლებ მძიმე ვითარება შეიქმნა საგადასახდელო ბალანსსაც. დიდი რეგრესი, იმავე წლებში, განიცადა ფულადი გზავნილების შემოსალებმაც და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამაც.





* წინასწარი მონაცემები.

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამ მოვლენას მეორე მხარეც აქვს, რადგან შეიძლება ითქვას, რომ კრიზისმა დადებითი როლი ითამაშა საწვავსა და სურსათზე ფასებთან მიმართებაში. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია საქართველოს მიმდინარე დეფიციტზე დადებითი გავლენა.



კიდევ ერთი მომენტია უძრავ ქონებაზე ფასების ვარდნა. ამის მიზეზის დადგენა საკმაოდ რთულია. ეს შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო როგორც მსოფლიო ფინანსური კრიზისით, ასევე რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებით გამოწვეული შიგა ეკონომიკური კრიზისით.

ეს ორი შოკი ერთდროულად უარყოფითი ხასიათის მატარებელი აღმოჩნდა საქართველოს საბანკო სექტორზეც. კერძოდ ეს გამოიხატა როგორც აქტივების კლებით, ასევე ვალდებულებების კლებითაც.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს იმ პერიოდის დროინდელი პრობლემა უფრო მძაფრი იყო, ფინანსური კრიზისისა და ომის პირობებში, უნდა ხაზგასმით

ითქვას, რომ ასეთ რთულ ვითარებაშიც კი, საბანკო სისტემამ ბევრად უფრო გაუძლო კრიზისს ვიდრე მეზობელი ქვეყნებისა და აღმოსავლეთ ევროპის საბანკო სისტემებმა.

მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, პოსტსოციალისტური ქვეყნების განვითარება სხვადასხვა მიმართულებით დაიწყო. თუმცა, ერთის მხრივ, მათი მდგომარეობა თითქმის იდენტური იყო. მიუხედავად ამისა, მათი განვითარება თანაბრად არ მოხდა. პირველ ეტაპზე, პოსტსოციალისტური ქვეყნების მოდერნიზაცია იწვევდა ასოციას დასავლური ტიპის სახელმწიფოს შექმნისაკენ. ეს უპირველესყოვლის აიხსნებოდა დემოკრატიულობით და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით. ქვეყნებს შორის ამ ღირებულებების არათანაბარი მიმღებლობა გახდა მიზეზი ამავე ქვეყნების განსხვავებული განვითარების დონეების არსებობისა.

საქართველოს ეკონომიკის მკვეთრი დაცემა გრძელდებდა 5 წლის განმავობაში 1990-1995 წლის ჩათვლით. ეს ძირითად გამოწვეული იყო ეთნოპოლიტიური ომებითა და პოლიტიკური დაპირისპირებებით. პირველი სამი წლის მანძილზე საქართვეოს მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებელი წლიურად საშუალოდ 28%-ით მცირდებდა. მოსახლეობის ერთ სულზე ის 4433 აშშ დოლარიდან 1437 აშშ დოლარამდე შემცირდა. 1995 წელს წარმოება 78% შემცირდა 1990 წეთან შედარებით. ეს თითქმის 3 ჯერ აღემატებოდა „დიდი დეპრესიის“ დროს აშშ-ში წარმოების დაცემის დონეს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით წარმოების დაცემის დონე 3 წლით უფრო დიდხანს იყო (7 წელი). შედარებით ხანმოკლე იყო საქართველოში დაცემის პერიოდი სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით. თუმცა ეკონმიკა ძალიან მძიმე კრახი განიცადა, რადგან მან დიდწილად ჩრდილოვან ეკნომიკაში გადაინაცვლა.

მშვიდობიანი სახელმწიფოებრივი მშენებლობა და ეკონომიკის ტრანსფორმაცია საქართველოში ყველაზე გვიან, 1995 წელს იწყება. ამ წლის ინსტიტუციურმა გარდაქმნებმა ხელი შეუწყო საქართველოს კრიზისული მდგომარეობის დაძლევაში. 1997 წელს საქართველოში დაფიქსირდა ეკონომიკის

ზრდის პიკი. მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპმა 10,7%-ს მიაღწია. ფაქტობრივად, ეს იყო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „ვარდების რევოლუციამდე“. 1998 წელს რუსეთის საფინანსო კრიზისი ნეგატიურად აისახა საქართველოს ეკონომიკაზეც და შეაფერხა მისი განვითარება.

ინფლაციამ გამოიწვია უცხოური ვალუტის (დოლარის) მნიშვნელობის ზრდა საქართველოში. მოგვიანებით კი, 2003 წლის ბოლოს, ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის კვალობაზე დოლარიზაციის კოეფიციენტმა მიაღწია მაქსიმალურ ნიშნულს 86%-ს. ფაქტობრივად, საქართველოში ჩამოყალიბდა ორვალუტიანი ზონა, სადაც სამომხმარებლო ხარჯებს, მცირე სამეწარმეო გარიგებებსა და მიმდინარე გადასახდელებს ემსახურებოდა ეროვნული ვალუტა, ხოლო მსხვილ გარიგებებს, საინვესტიციო მიზნებსა და სამომხმარებლო ხარჯებს - დოლარი.

ხანმოკლე აღმავლობა ძლიერი დაცემის შემდეგ 1995-1998 წლებში დაიწყო. ამის მიზეზი იყო ის რიგი რეფორმები ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ლიბერალიზაციის მიმართულებით, რომლებიც იმავე წლებში გატარდა. შედეგად, საბანკო სისტემამ ცვლილებები განიცადა, შემოღებულ იქნა ლარი - როგორც ეროვნული ვალუტა. დაიწყო საშუალო საწარმების პრივატიზება და განხორციელდა ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ამ რეფორმებმა და 1996-1998 წლებში ბაქო-სუბსის და 2003-2005 წლებში ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობამ გამოიწვია ეროვნული შემოსავლის სწრაფი ზრდა. თუმცა, ეროვნული შემოსავლის სწრაფმა ზრდამაც კი ვერ გამოიწვია განვითარების იმ დონესთან მიახლოვება, რომელიც საკმარისი იქნებოდა სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. 1997-2001 წლებში იმ ადამიანების რიცხვი, რომელთა დღიური შემოსავალი 1.25 აშშ დოლარზე ნაკლები იყო 5.3%-დან 6.0%-მდე გაიზარდა. გლობალური სავალუტო კრიზისის ფონზე 1997-2001 წლებში მდგომარეობა ისევ და ისევ გაუარესდა. ძალიან დაბალი ტემპით ვითარდებდა საქართველო 2004 წლამდე.

საქართველოს ეკონომიკის ყველაზე ძირეულ და რთულ პრობლემას წარმოადგენდა 90-იანი წლების დასაწყისში ჰიპერინფლაცია, სახელმწიფო ბიუჯეტის შემსავლები და ფინანსური კრიზისი (1998 წელი).

რუსეთის 1998 წლის კრიზისმა ირიბი გავლენა მოახდინა პოსტსაბჭოთა და სოციალისტურ ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოს ეკონომიკაზეც. ვალუტის კურსი მნიშვნელოვნად დაეცა კრიზისის ფონზე, შემცირდა განვითარების ტემპი და გაიზარდა ფასები.

საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი იმ პერიოდში რუსეთი იყო. მასზე მოდიოდა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 15.2%, იმპორტის 11,4% და ექსპორტის - 34.1%. ასეთი რთული ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოს სავაჭრო ბალანსი გაუარესდა, იმ პროდუქტებზე ფასები გაიზარდა, რომლებიც იმპორტის გზით შემოდიოდა. ეკონომიკური რეფორმების ნაკლოვანებებით და ეკონომიკური სუბიექტების პესიმისტური მოლოდინებით რუსეთის ფინანსური შოკის ზეგავლენა საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა.ინფლაციის ახალმა ტალღამ, ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის შემცირებამ და მთლიანი შიგა პროდუქტის შემცირებამ გამოიწვია ეროვნული ვალუტის დევალვაცია. იმის მიუხედავად, რომ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოში საბანკო კრიზი არ დაწყებულა, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფად გამოსწორება ვერ მოხდა და, შესაბამისად, ჩამყალიბდა უძრაობის პერიოდი. რეალურ სექტორში გამვლინდა ფინანსური კრიზისის შედეგები და ასევე ვალუტამ განიცადა მნიშვნელოვანი დევალვაცია. ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ისედაც ძალიან სუსტი ეკონომიკა ფაქტიურად სრულიად მოშლილიყო. კულმინავიის პერიოდში, მაშინ როდესაც ლარის კურსი თითქმის 100 პუნქტით დაეცა, საიმპორტო საქნელზე დოლარის კურსის გაძვირებასთან ერთად ფასები გაიზარდა 1.5-ჯერ. ყველაზე დაბალი ლარის გაცვლითი კურსი დაფიქსირდა 1999

წლის 23 თებერვალს (1 აშშ დოლარი = 2.4010 ლარი). შემოღების მომენტში ლარის გაცვლითი კურსი იყო 1 აშშ დოლარი - 1.3000 ლარი.

იმისათვის, რომ დაეცვათ საკუთარი შემოსავლები, ეკონომიკურმა აგენტებმა ნაცად ხერხს მიმართეს. სავალუტო ბაზარზე ზეწოლით კრიზისი კიდევ უფრო გაამძაფრეს. შედეგად, გაიზარდა დოლარზე მოთხოვნა და შეიზღუდა სავალუტო ბაზარი. ეკონომიკური აგენტების პესიმისტურმა მოლოდინებმა, ბაზრის შეზღუდვამ და რისკის ფაქტორით გამოწვეულმა შიშმა ლარისადმი უნდობობა უფრო მეტად გააღრმავა. დოლარიზაციის კოეფიციენტის ზრდა, ეროვნული ვალუტის უნდობლობის ფონზე, შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა 2004 წლის ჩათვლით. ყოველდღიური დანახარჯებისათვის საქართველოს მოსახლეობა უკვე ლარს იყენებდა. ასეთი დინამიკა მიანიშნებდა სავალუტო კრიზისის ენდოგენურ მიზეზებზე. ეს გამოწვეული იყო ეკონომიკური აგენტების უნდობობით ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტისადმი და დაპირისპირებებით.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რაც ახასიათებს დაბალგანვითარებულ ეკონომიკას გლობალური სავალუტო-საფინანსო კრიზისის ჯაჭვური რეაქციით გავრცელების კუთხით. ესენია:

- მზარდი სახელმწიფო ვალი;
- საბიუჯეტო დეფიციტი;
- სუსტი საბანკო სისტემა;
- არასაკმარისი პროგრესი ინსტიტუციურ და სტრუქტურულ რეფორმებში;
- ქვეყნის ეკონომიკის დაბალი მონეტიზაცია;

მონეტიზაციის დონე დაბალი იყო. ეს მეტყველებდა ბანკების შეზღუდულ როლზე. დოლარიზაციის მაღალი კოეფიციენტის, დაზოგვის დაბალი დონისა და

ნაღდი ანგარიშსწრების მაღალი წილის პირობებში ბანკების განვითარება შეზღუდულ სივრცეში მიმდინარეობდა.

ამ ყველა ფაქტორთან ერთად, ეკონომიკის არასტაბილურობას აძლიერებდა ინვესტირების დაბალი დონე. საქართველოს დამოკიდებულებას გარე ფაქტორებზე აძლიერებდა დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი. ეს კი, თავისთავად ცხადია, დევალვაციის შემთხვევაში უარყოფითად მოქმედებდა ეროვნულ ეკონომიკაზე და ასევე იმ ფასეულობებზე, რომლებიც საქართველოში იწარმოებოდა. მართალია, ეს და სხვა მაჩვენებლები საქართველოში არსებული სუსტი ფინანსური მდგომარეობის გამომხატველი მაჩვენებლებია, თუმცა ნელი ტემპით დინამიკაში ისინი მაინც უმჯობესდებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში, 90-იანი წლების საქართველოს ეკონომიკა განვითარდა. ცნობილი სავალუტო კრიზისის შემდეგ, 1998 წლიდან, სტრუქტურული რეფრმების შეფერხებასთან ერთად დაეცა ეკონომიკური ზრდის ტემპი. დაიწყო ეგრედწოდებული „უძრაობის პერიოდი“, რომელიც „ვარდების რევოლუციამდე“ გაგრძელდა. ამის მიუხედავად, ქვეყანა ნელ-ნელა, ზომიერად დაბალი ტემპით მაინც ვითარდებოდა საშუალოდ 3-3.5%-ით. იქედან გამომდინარე, რომ რეალური ცვლილებები, ფაქტობრივად, აღარ ხორციელდებოდა, ამან მოსახლეობას კიდევ უფრო მეტად უბიძგა სოციალური დიფერენციაციისაკენ. შედეგად გაიზარდა არალეგალური ეკონომიკის მასშტაბი. პენსიებისა და ხელფასების მოცულობის გაყინვამ გაზარდა იმ ადამიანების მცირერიცხოვანი სიმდიდრე, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ელიტას წარმადგენდნენ. საშუალო ხელფასების მოცულობა საარსებო მინიმუმზე დაბალი იყო და შეადგენდა საარსებო მინიმუმის 60-70%-ს. პენსიები კი, საარსებო მინიმუმზე 10-ჯერ დაბალი იყო. მიუხედავად ასეთი მძიმე და რთული ვითარებისა ქვეყანაში ნაწილობრივ მიმდინარეობდა გარკვეული ინსტიტუციური ცვლილებები, რომლებიც მთლიანობაში, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის განვითარების საწინდარი იყო.

2004 წლის 6 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის მიერ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად სახელმწიფო მართვის პოლიტიკური სისტემა შეიცვალა, ჩამოყალიბდა მთავრობა და შემოღებულ იქნა პრემიერ-მინისტრის პოსტი. აქამდე არსებული მოდელი არსებითად შეიცვალა.

ახალი ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა იყო ფინანსური დისციპლინის დამყარება და კანონიერი ეკონომიკური თამაშის წესების აღდგენა. ეს გულისხმობდა ჩრდილოვანი და კლანური სტრუქტურების რღვევას, მათი უმრავლესი სუბიექტების მიერ უკანონოდ მითვისებული ქონებების კონფისკაციას და საზოგადოების ღარიბი სოციალური ფენის სასარგებლოდ გადანაწილებას.

საკანონმდებლო ბაზის შეცვლა და სამეწარმე გარემოს გაუმჯობესება განხორციელდა. ეს კი, თავის მხრივ, ძირითადად, ლიბერალური საგადასახადო კოდექსის შემოღებას მოიცავდა, აგრეთვე მაკონტროლებელი ორგანოების შემცირებასა და შეზღუდვებს. ხელისუფლებამ ამ ამოცანების განხორციელება დაიწყო მთავრობის რეორგანიზაციით. ეს ითვალისწინებდა მის გათავასიფულებას კორუფციისაგან, ბიუროკრატიის შემცირებას, შესაბამისად, სახელმწიფო მოხელეების პასუხისმგებლობის ზრდას და მათი შრომის ანაზღაურების გაზრდას. ამ მიზნის მისაღწევად შეიცვალა საქართველოს კონსტიტუცია, გაუქმდა ის ძველი საპრეზიდენტო ხელისუფლებისთვის განკუთვნილი სამსახურები რაც იქამდე იყო და ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბება დაიწყო.

საგადასახადო-საბიუჯეტო სექტორში „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ გატარდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა. ერთ-ერთი ძირეული მახასიათებელი და მიღწევა რაც ახალი ხელისუფების პირობებში დაიწყო იყო საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება საბიუჯეტო-ფინანსური დისციპლინის დამყარებების მიზნით. ქვეყნის ფისკალური პოლიტიკა, საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესი ქვეყნის ეკონომიკასთან ორმხრივადაა დაკავშირებული. ერთის მხრივ ეს პროცესი წარმოადგენდა ხელისუფლების

ძირითად ბერკეტს ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტიცუირი პოლიტიკის გატარების კუთხით, ხოლო მეორე მხრივ, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში სარკისებურად აისახა ის ტენდენციები, რომლებიც ეკონომიკაში იქნა ჩამოყალიბებული.

2.2. საქართველოს საგადასახადო რეფორმები და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია

ლიბერალიზაციას, რომელიც ძირითადად გამოხატული იყო საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებული ცვლილებებით, თან სდევდა საგადასახადო ადმინისტრირების უმწვავესი გამკაცრება. საქართველოში ძველი საგადასახადო კოდექსის მიხედვით 13 საერთო-სახელმწიფოებრივი, 6 ადგილობრივი გადასახადი და 1 საბაჟო გადასახადი მოქმედებდა. ჯამში 20 გადასახადი.

ცვლილებების შეტანის შემდეგ, ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, განისაზღვრა 5 საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი, 2 ადგილობრივი გადასახადი და ამასთან საბაჟო კოდექსით რეგულირებული საბაჟო გადასახადი. ფაქტობრივად, გადასახადების რაოდენობა 20 გადასახადიდან 8 ერთეულამდე შემცირდა. ცვლილებების შედეგად საერთო-სახელმწიფოებრივმა გადასახადებმა შემდეგი სახე მიიღო:

- საშემოსავლო გადასახადი;
- მოგების გადასახადი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი (მშპ);
- აქციზი;
- სოციალური გადასახადი;

ადგილობრი გადასახადებს კი შემდეგი სახე აქვს:

- ქონების გადასახადი;
- სათამაშო ბიზნესის გადასახადი;

2011 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა 2010 წლის 17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის მიხედვითაც დადგინდა 6 გადასახადი, აქედან:

5 საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი:

1. საშემოსავლო გადასახადი;
2. მოგების გადასახადი;
3. დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
4. აქციზი;
5. იმპორტის გადასახადი;

და ერთი ადგილობრივი გადასახადი:

1. ქონების გადასახადი

საქართველოში, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად, განხორციელდა რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ რეოგრანიზაციას, ლიბერალიზაციას და სავაჭრო რეგულირების გამარტივებას. 2003 წლის ნოემბრის შემდგომი პერიოდიდან ეს რეფორმები გახდა განსაკუთრებით ინტენსიური. საქართველოს სავაჭრო საზღვრები კიდევ უფრო გაიხსნა ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად: გამარტივდა იმპორტ-ექსპორტის პროცედურები, შემცირდა გადასახადების განაკვეთი და სახეები, სატარიფო და არასატარიფო რეგულირება გამარტივდა, გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემო, თავისუფალი კონკურენციის ბარიერები შემცირდა საბაჟოს, ლიცენზირების და ნებართვის საკუთრების რეგისტაციის გამარტივების გზით, გაუმჯობესდა კრედიტებზე ხელმისაწვდომობა. ახალი სამთავრობო რეფორმები ითვალისწინებდა სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გაუქმებას ვაჭრობაში. ხელს უწყობდა კონკურენტუნარიანი საბაზრო პირობების ჩამოყალიბებას და ბიზნეს გარემოს

გაუმჯობესებას. ასეთ ქმედით ნაბიჯებს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა უნდა გამოეწვია. თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის ფორმირებამ საქართველოში გავლენა მოახდინა ადგილობრივი საწარმოებების კონკურენტუნარიანობაზე. შედეგად, მეწარმეებს შეექმნათ სტიმული, რომ უფრო კარგად მოეხდინათ მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინება, რათა უფრო მიმზიდველნი ყოფილიყვნენ და გამორჩეულნი თავიანთი კონკურენტების ფონზე. მათ უკვე უფრო ეფექტურად და მოქნილად უწევდათ რეაგირება საბაზრო მოთხოვნების ცვლილებებზე. მიუხედავად ამისა, ცხადია თანაბრად სარგებლიანი ვერ აღმოჩნდებოდა ადგილობრივი საწარმოებისათვის თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი. იქედან გამომდინარე ,რომ საქართველოს ზოგიერთი მთავარი ეკონომიკური და სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა მისდევს პროტექციონისტულ პოლიტიკას, ეს უფრო ამძაფრებდა უთანასწორო კონკურენციას. ავიღოთ მაგალითად თურქეთი, რომელიც არის საქართველოში მარცვლეულის მთავარი იმპორტიორი. საქართველო არის ქვეყანა, სადაც მარცვლეული შედის ხუთ ძირითად საიმპორტო პროდუქციის რიცხვში. თურქეთის მთავრობა ასტიმულირებს მარცვლეულის წარმოებას ამ დარგის სუბსიდირების გზით. რა თქმა უნდა, ეს აძლევს მას საშუალოებას, მოახდინოს საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია იაფად საქართველოში. ეს, თაისთავად, კიდევ უფრო ავიწროებს ისედაც არაკონკურენტუნარიან ქართულ აგრალურ პროდუქციას. იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს ეკონომიკის მწარმოებლური უნარები და შესაძლებლობები ნაკლებად ვითარდებოდა და მოხმარება იზრდებოდა, თავისუფალმა ვაჭრობამ იმპორტის მოცულობის მკვეთრი ზრდით შექმნა საფუძველი გაზრდილიყო სავაჭრო დეფიციტი. აგრარულ და ინდუსტრიულ სქტორში კიდევ უფრო ნათლად გამოაშკარავდა ქართული ეკონომიკის დაბალი კონკურენტუნარიანობა. ვაჭრობამაც კი ვერ მოახერხა ამ კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

2019 წლის იანვარ-მაისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 4959.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1.1%-ით მეტია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, აქედან ექსპორტი 1466.7 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს (14.2%-ით მეტი), ხოლო იმპორტი 3492.8 მილიონ აშშ დოლარს (3.6%-ით ნაკლები).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2019 წლის იანვარ-მაისის ექსპორტის მიხედვით

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	2019 წლის იანვარ მაისი		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	
ექსპორტი- სულ	1 446 684,9	100	14,2
მათ შორის:			
რუსეთი	218 657,0	14,9	27,9
აზერბაიჯანი	168 790,7	11,5	4
ბულგარეთი	119 132,4	8,1	23,1
სომხეთი	116 604,4	8,0	19,9
უკრანა	109 142,3	7,4	78
თურქეთი	106 174,9	7,2	-21,9
რუმინეთი	94 480,3	6,4	245,1
ჩინეთი	49 250,6	3,4	-16,3
აშშ	47 553,6	3,2	-27,4
არაბთა გაერთიანებული საემიროები	40 144,7	2,7	166,6
დანარჩენი მქვეყნები - სულ	396 754,0	27,1	1

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2019 წლის იანვარ-მაისის იმპორტის მიხედვით

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	2019 წლის იანვარ მაისი		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	
იმპორტი- სულ	3 492 752,9	100	-3,6
მათ შორის:			
თურქეთი	595 666,6	17,1	2,6
რუსეთი	349 579,7	10,0	-7,3
ჩინეთი	347 888,0	10,0	2,3
აზერბაიჯანი	266 806,1	7,6	-1,5
გერმანია	173 982,6	5,0	2,2
აშშ	168 315,7	4,8	25,7
უკრაინა	142 295,0	4,1	-27,4
სომხეთი	106 458,8	3,0	-9,8
იტალია	87 503,8	2,5	-4,7
რუმინეთი	73 720,8	2,1	-9,1
დანარჩენი მქვეყნები - სულ	1 180 535,7	33,8	-6,6

საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, იანვარ-მაისში, 2026.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.9 %-ია. ამავე პერიოდში ექსპორტი რეექსპორტის გარეშე, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.75-ით გაიზარდა და 938.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

“2019 წლის იანვარ-მაისში, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელდა 360.9 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი, რაც 22.1 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 24.6 პროცენტს შეადგენს. იმპორტის მოცულობამ 885.8 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (11.5 პროცენტით ნაკლები) და მთლიანი იმპორტის 25.4 პროცენტი შეადგინა.

სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 1 246.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 3.9 პროცენტით ჩამორჩება. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2019 წლის იანვარ-მაისში მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში მისი წილი 25.9 პროცენტით განისაზღვრა.

2019 წლის იანვარ-მაისში, საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებულია 748.7 მლნ. აშშ დოლარი სსაქონელი, რაც 28.3 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 51.1 პროცენტს შეადგენს. იმპორტის მოცულობა 951.3 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა (13.2 პროცენტით ნაკლები), რაც მთლიანი იმპორტის 27.2 პროცენტია.

სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ის ქვეყნებთან 1 700.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1.3 პროცენტით მეტია. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2019 წლის იანვარ-მაისში, მისი წილი მთლიან უარყოფით სავაჭრობალანსში 10.0 პროცენტი იყო.

სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ის ქვეყნებთან 1 700.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1.3 პროცენტით მეტია. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2019 წლის იანვარ-მაისში, მისი წილი მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში 10.0 პროცენტი იყო.

2019 წლის იანვარ-მაისში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 72.9 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: რუსეთი (218.7 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (168.8 მლნ. აშშ დოლარი) და ბულგარეთი (119.1 მლნ. აშშ დოლარი).



2019 წლის იანვარ-მაისში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 66.2 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (595.7 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (349.6 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (347.9 მლნ. აშშ დოლარი).



2019 წლის იანვარ-მაისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67.1 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (701.8 მლნ. აშშ

დოლარი), რუსეთი (568.2 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (435.6 მლნ. აშშ დოლარი).

2019 წლის იანვარ-მაისში, სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 261.1 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 17.8 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები, 207.8 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 14.2 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები, 136.7 მლნ. აშშ დოლარით (9.3 პროცენტი).



უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2019 წლის იანვარ-მაისში წარმოდგენილი იყო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სახით, რომლის იმპორტმა 277.9 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 8.0 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა მსუბუქი ავტომობილები 248.4 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 7.1 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრანტები, 236.0 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.8 პროცენტი)“, - ნათქვამია საქსტატის ინფორმაციაში.



2.3. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების იმპლემენტაციის შედეგები

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთახნემბას. (ქალაქ ბიუსელი, 2014 წელი).

ამ ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA). ის ითვალისწინებს და გულისხმობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის როგორც საქონლით, ასევე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას.

თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების მიხედვით, საქართველო ვალდებულია მიუახლოვოს საკუთარი ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ევროკავშირის ვაჭრობის კანონმდებლობლას. ამისთვის უნდა განახორციელოს რეფორმები შემდეგი მიმართულებებით:

- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები;
- ვაჭრობასთან დაკავშირებული ტექნიკური ბარიერები;
- სახელმწიფო შესყიდვები;
- საბაჟო და მომსახურებით ვაჭრობა;

საქართველოს ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის გავლენა შეფასებულია 2012 წლის ოქტომბრის ანგარიშში ევროკომისიის ინიციატივით, შემდეგი სახელწოდებით - „მდგრადი სავაჭრო ურთიერთობების გავლენის შეფასება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთახნემბის ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკებების მხარდასაჭერად“. ამავე დოკუმენტში თავისუფალი ვაჭრობის გავლენის შესახებ მოცემულია დასკვნები: საქართველოში ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსთან დაკავშირებული საკითხებზე.

დღეს საქართველოს ევროკავშირთან ბევრად უფრო გაუმჯობესებული სავაჭრო რეჟიმი აქვს, რომელიც უფლებას იძლევა 9600 დასახელების პროდუქციის ექსპორტირებას ნულოვანი საბაჟო ტარიფით.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების მოლაპარაკებისათვის მომზადების პროცესი 2009 წელს დაიწყო. ევროკომისიამ წარუდგინა საქართველოს მთავრობას გარკვეულ სფეროებში განსახორციელებელი რეკომენდაციები. საბოლოოდ, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ამოქმედდა ოფიციალურად 2014 წლის 1 სექტემბერს.

ევროკომისიამ, რეკომენდაციების მიხედვით მოლაპარაკებების დაწყებისათვის დაასახელა შემდეგი 4 სფერო:

1. ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში;
2. სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები (სურსათის უვნებლობა);
3. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები;
4. კონკურენცია;

სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება გულისხმობს ვაჭრობის ლიბერალიზაციას როგორც საქონლით, ისევე მომსახურების სფეროშიც. ამას გარდა, DCFTA ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს მოიცავს. ისეთებს, როგორიცაა:

- სურსათის უვნებლობა;
- კონკურენციის პოლიტიკა;
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვა;
- ფინანსური მომსახურება;

- და სხვა...;

ამ და მსგავსი ქმედითი ნაბიჯებით საქართველოს სავაჭრო კანონმდებლობა ეტაპობრივად უახლოვდება და უთანაბრდება ევროკავშირის კანონმდებლობას.

საქართველოსთვის DCFTA არის საუკეთესო საშუალება და შესაძლებლობა მივიღოთ ევროკავშირის შიგა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი. ესენია: საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. ხოლო მეოთხე თავისუფლების შემადგენელი კომპონენტია ადამიანების თავისუფალი გადაადგილება, რასაც სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია უწყობს ხელს.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- საქონლით ვაჭრობა;
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები;
- ვაჭრობაში დაცვითი ზომები;

ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, მეტროლოგია, სტანდარტიზაცია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება;

- საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა;
- მიმდინარე გადასახადები და კაპიტალის მოძრაობალ
- დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერციალ
- საჯარო შესყიდვები;
- კომუნიკაცია;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები;
- გამჭირვალობა;
- დავების მოგვარება;
- ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში;
- ვაჭრობა და მდგრადი განვითარება;

- დაახლოვების ზოგადი დებულებები;

ამ შეთანხმების ამოქმედებით, და გარკვეული პირობებისა და სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქართული საქონელსა და მომსახურებას უზარმაზარი ბაზარი ეხსნება. ამ ეტაპზე ეს ბაზარი მოიცავს 28 ქვეყანას, და დღეს ის 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს. ქართული საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, ვინაიდან ის ხელს უწყობს საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

მეორეს მხრივ, საექსპორტო პოტენციალის ზრდასთან ერთად, სავაჭრო შეთანხმებით საქართველოს შესაძლებლობა ეძლევა გახდეს ინვესტორებისათვის კიდევ უფრო მიმზიდველი ქვეყანა. ეს გამოიწვევს საინვესტიციო ნაკადების ზრდას ქვეყანაში და, შესაბამისად, გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები. შეთანხმების ამოქმედება ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას შეუწყობს ხელს, რაც ქართველი მომხმარებლებისათვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქციის მიწოდების კიდევ ერთი შესაძლებლობაა.

ყველა საქართველოში წარმოებული პროდუქტი, სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნულოვანი საბაჟო ტარიფით შეაღწევს ევროკავშირის ბაზარზე.

რაც შეეხება მომსახურების სფეროს, საქართველოდან ევროკავშირში მომსახურის ექსპორტი მნიშვნელოვნად და საგრძნობლად გამარტივდება. ქართულ კომპანიებს, რომლებიც მომსახურების სექტორს განეკუთვნებიან ექნებათ საშუალება:

ევროკავშირის ქვეყნებში დააფუძნონ ფილიალები და მომსახურება გაუწიონ ევროპელ მომხმარებლებს;

საზღვარგარეთ არსებულ ფილიალებში აიყვანონ ქართველი მენეჯერები, და ჩაუტარონ მათ გადასამზადებელი ტრეინინგები, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

თავიანთი პროდუქციის რეალიზების მიზნით, მოლაპარაკებების საწარმოებლად, ევროკავშირში გაუშვან გაყიდვების წარმომადგენელი, რაც ისევ და ისევ მათ კეთილდღეობაზე აისახება;

ევროკავშრის მომსახურება მიაწოდონ, საქართველოს ბაზრიდან, ევროკავშირში ფილიალების გახსნის გარეშე;

ძალიან საყურადღეობა და მნიშვნელოვანია ერთი გარემოაებაც, რომელიც ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების საფუძველზე ხდება ხელმისაწვდომი. ქართველ სპეციალისტებს, გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე საშუალება ეძლევათ მომსახურება გასწიონ ევროკავშირში. ეს შეთანხმება მოიცავს პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმს. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელიც საქართველოში იქნება გაცემული, აღიარდება ევროკავშირის მიერ. ეს კი, თავისთავად, ნიშნავს იმას, რომ ამ დოკუმენტებს ისეთივე ძალა ექნებათ, როგორიც ევროკავშირში გაცემული ანალოგიური დოკუმენტია. შედეგად, ევროკავშირის ქვეყნებში მომსახურების გაწევა ქართველ სპეციალისტებს საგრძნობლად გაუმარტივდებათ.

ევროკავშირის ბაზარი, რა თქმა უნდა, უმსხვილესი ბაზარია მსოფლიოს მასშტაბით, სადაც გაერთიანებულია 28 ქვეყანა და 500 მილიონზე მეტი მომხმარებელი. ევროკავშირის ბაზარი ხასიათდება და არის სტაბილური ბაზრი, სადაც არის ღია თამაშის წესები, გამართული სადისტრიბუციო ქსელი, მზარდი ფასები სურსათზე და მზარდი მოთხოვნა ნატურალურ პროდუქციაზე. იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირი სურსათის უმსხვილესი მწარმოებელია, მისი

იმპორტის მაჩვენებელი ხილისა და ბოსტნეულის დარგში მაინც მაღალია. მას საკმაოდ მაღალი ტრანსპორტირების ხარჯის გაწევა უხდება ხილისა და ბოსტნეულის იმპორტში, იქედან გამომდინარე, რომ ამ პროდუქციის ძირითადი მიმწოდებლები ტერიტორიულად საკმაოდ დიდ მანძილზე იმყოფებიან (სამხრეთ ამერიკის ქვეყნები, სამხრეთ აფრიკა, თურქეთი, მაროკო, კენია, ეგვიპტე).

საქართველოს საკმაოდ კარგი პოტენციალი გააჩნია სასურსათო პროდუქციის რეალიზების კუთხით. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება საქართველოში წარმოებული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალს ცალსახად ზრდის.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ოფიციალურად 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა. სამ თვეში ევროკავშირში უკვე 158 718 500 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქტი გავიდა. 2015 წელს კი, ექსპორტის მოცულობა 15%-ით გაიზარდა.

იმპორტის მოცულობამ ევროკავშირთან 2014 წლის სექტემბერ-ნოემბერში 608 202 600 აშშ დოლარი შეადგინა. 2015 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1.6%-ით გაიზარდა.

იმპორტ-ექსპორტის უარყოფითი სალდო, შედეგად, შემცირდა. პროდუქტების სია, რომელიც ექსპორტის გზით გადის ქვეყნიდან საკმაოდ მრავალფეროვანია. ექსპორტზე, სოფლის მეურნეობის პროდუქტებთან ერთად, გავიდა მინერალური წყლები, ლუდი, შეღებილი და შეუღებავი ქვიშა, თიხა, ცემენტი, გრანიტი, კირი, მინერალური ნივთიერებები, ქიმიური რადიოაქტიური ელემენტები,მანგანუმის ოქსიდი, ორგანოთერაპიისთვის განკუთვნილი ჯირკვლები, რადიოაქტიური იზოტოპები და მათი ნაერთები, ადამიანისა და ცხოველების სისხლი, ფარმაცევტული პროდუქცია, ქიმიური დააზოტოვანი სასუქები, სუნამოები, დაუფასოებელი სამკურნალო საშუალებები, მინერალები,საღებავები და ლაქები,

კოსმეტიკური საშუალებები, ჭურჭელი, ტანსაცმელი, სამშნებლო ნაწარმი, ხე-ტყის მასალა, საქონლის ტრანპორტირებისათვის საჭირო შესაფუთი საშუალებები, ქაღალდის ტარა, გაზეთები, ბიჟუტერია, ელექტრო მოწყობილობები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ტყავი, ნაბეჭდი წიგნები, ფეროშენადნობები, ნარჩენი და შავი ლითონის ჯართი,სათვალეები დაანალოგიური ოპტიკური მოწყობილობები, საიუველირო ნაკეთობები, სურსათი და ნახატები, ელექტრო მოწყობილობები და ა.შ.

2014 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 4%-ით გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებთან და 2 990 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 26% შეადგინა:

ექსპორტის მაჩვენებელი გაიზარდა 2%-ით, 621 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. მან მთლიანი ექსპორტის 22% დაიკავა;

იმპორტის მაჩვენებელი 4%-ით გაიზარდა, 2 369 მლნ აშშ დოლარი.

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ საქართველოს ეკონომიკა ერთვება ეკონომიკურ გლობალიზაციაში. იმის მიუხედავად, რომ იმაზე მეტი შემოგვაქვს ვიდრე გაგვაქვს, შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი დადებითად აისახება საქართველოზე. ჩვენთვის ამ ეტაპზე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის, რომ როგორმე გავხდეთ უფრო მიმზიდველები, რის შედეგადაც სავაჭრო ურთიერთობების გზით მივაღწევთ უფრო ღირებულ შედეგსა და წარმატებას.

გლობალზიაციის პირველი ნაბიჯები საქართველოსთვის გადაიდგა იმ დროს, როდესაც გაიხსნა საქონლისა და მომსახურების საშინაო ბაზრები, დაიწყო უცხოური კაპიტალის შემოსვლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ასევე საქართველო გაწევრიანდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში და დაიწყო საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღება. საქართველო ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით მსოფლიოში 23-ე ადგილს იკავებს 2019 წლის 22 იანვრის მონაცემების მიხედვით, ხოლო გლობალიზაციის დონით 45-ე ადგილზეა.

2018 წელს ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში საქართველოს მე-18 ადგილი ეკავა. საქართველო დაახლოვებით 105 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია. საერთაშორისო ორგანიზაციების განხორციელებულმა ღონისძიებებმა მნიშნელოვანი კვალი დატოვა მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში გარდამავალი პერიოდის მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. [5]

საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალურმა პოლიტიკამ და ასევე უცხოური კაპიტალის მარტივად შემოსავლის შესაძლებლობის დამსახურება არის საქართველოს 23-ე ადგილზე ყოფნა.

იმისთვის რომ უკეტესად გავიგოთ, თუ რატომ უწყობს ვაჭრობის ლიბერარლური პოლიტიკა ქვეყნებს მიაღწიონ ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს, უმჯობესია ჩავუღრმავდეთ ამ საკითხს.

საერთაშორისო ვაჭრობის დროს ქვეყნებს აქვთ იმის ფუფუნება, რომ შედარებითი უპირატესობის პრინციპი გამოიყენონ. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემოიტანონ (იმპორტი) ისეთი პროდუქცია, რომლის წარმოება ადგილობრივი რესურსებით ეკონომიკურ ტერიტორიაზე უფრო ძვირია, ვიდრე შემოტანის გზით. ხოლო ამას დაუპირისპირონ ისეთი პროდუქციის გატანა (ექსპორტი), რომელიც ეროვნულ ეკონომიკას შედარებით ნაკლები დანახარჯების გაწევით შეუძლია, ვიდრე სხვა ქვეყნებს (ექსპორტიორ ქვეყნებს). ამ პროცესის შედეგად მარტივი გასაგებია, რომ ქვეყნები იდეალურ მდგომარეობაში არიან. ისინი იგებენ როგორც იმპორტიდან ასევე ექსპორტიდანაც: შემოაქვთ საქონელი დაბალი დანახარჯების გაწევით, და სამაგიეროდ ყიდიან თავიანთ პროდუქციას მაღალ ფასად. ამ პროცესის შესრულებით იზრდება ადგილობრივი მოსახლეობის დანაზოგები, ეს კი, თავისმხრივ, ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა.

[5] http: //forbes.ge

მეორე მნიშნველოვანი კრიტერიუმი არის უცხოური კაპიტალის შემოდინება. ქვეყნის ეკონომიკას ავითარებს და ზრდის ინვესტიცია. ინვესტიცია თავის თავში კი გულისხმობს დანაზოგს, კაპიტალს. ინვესიტრების ორი ფორმა არსებობს:

1. **შიგაი ნვესტირება** - ანუ ადგილობრივი მოსახლეობის კაპიტალი და დანაზოგები;

2. **უცხოური ინვესიტრება** - სხვა ქვეყნების კაპიტალი და დანაზოგები;

შეუძლებელია ქვეყანამ მიაღწიოს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას მხოლოდ შიგა ინვესტირების განხორციელებით, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც განვითარებადი სახელმწიფოა და ამავდროულად ღარიბი, იქედან გამომდინარე, რომ როგორც წესი, ღარიბი სახელმწიფოს მოსახლეობა ცოტას ზოგავს. ამიტომაც, სულაც არ არის პარადოქსული, რომ განვითარებადი განვითარებულ ქვეყნებზე უფრო მეტად ცდილობენ ინვესტორების ყურადღების მიქცევას. ამისთვის ქმნიან ბიზნესისათვის ხელსაყრელ პირობებსა და მიმზიდველ გარემოს.

ეკონომიკის განვითარებისა და ბიზნესის გარემოს გაუმჯობესების კუთხით საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) შეფასებით საქართველომ საგრძნობელი პროგრესი განიცადა და წინსვლა აჩვენა.

აშშ-ს სტრატეგიული კვლევითი ინსტიტუტი - Heritage Foundation დაკავებულია საერთაშორისო პოლიტიკის ფართო კვლევებით, რომელიც დაარსებულია 1973 წელს. ინსტიტუტის მიზანია საზოგადოებრივი სტატისტიკური მოდელების აგება და გამჭირვალობა, იმისათვის რომ ამ მოდელებზე წვდომა იყოს მარტივი და ხელმისაწვდომი სრული საზოგადოებისათვის. ფონდს გააჩნია ანალიტიკური გამოკვლევების მთელი რიგი, თუმცა მათგან ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“.

საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ქულა 2019 წლის უკანასკნელი მონაცემებით არის 75.9 , რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური თავისუფლების

ინდექსის მე-16 ადგილს. გასულ წელთან შედარებით ქვეყნის ქულა 0,3 პუნქტით შემცირდა, რაც გამოწვეულია სასამართლო ეფექტურობის მკვეთრი ვარდნით, სახელმწიფო მთლიანობისა და ფულადი თავისუფლების შემცირებული ქულებით.საქართველოს ევროპის 44 ქვეყანას შორის მე-8 ადგილი უჭირავს. მისი საერთო ქულა რეგიონუალურ და მსოფლიო საშუალო ქულას აღემატება.

ამავე კვლევის შედეგები (Heritage Foundation) გვეუბნება, რომ საქართველოს პრობლემაა ფასიანი ქაღალდების განუვითარებლობის ბაზარი. თუმცა ძლიერია და სტაბილური საბანკო სექტორი.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში „გლობალიზაციის“ ცნება გამოიყენება მრავალი კომპლექსური მოვლენის მიმართ, რათა ხაზი გაესვას მის მთლიანობის ზრდას. მსოფლიო ეკონომიკის ჭრილში ის ვლინდება საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტიციებში ჩართულობით როგორც ფირმების მხრიდან, ასევე ცალკეული ინდივიდებისაგან. ქვეყნები და, შესაბამისად, საზოგადოებები ხდებიან კიდევ უფრო ინტეგრირებულნი, რასაც უზრუნველყოფს კაპიტალის ნაკადთა ზრდა, სამუშაო ძალის მიგრაცია, ტექნოლოგიათა სტანდარტიზაცია, ინფორმაციის სწრაფი გავრცელება და ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის მასშტაბები.

შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაცია მთლიანად მოიცავს კაცობრიობის ცხოვრების თითქის ყველა სფეროს. ეკონომიკაში, ის ასახულია შემდეგ ასპექტებში:

- საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა;
- კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;
- ბარიერების შესუსტება ქვეყნებს შორის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნას;
- მსოფლიო ეკონომიკის წილის ზრდა;
- საერთაშორისო შრომის დანაწილება, რამაც განაპირობა მრავალეროვნული საწარმოების მიერ ბიზნესის კეთების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავების ზრდა. (მაგ.: აუთსორსინგი);

თუ განვიხილავთ გლობალიზაციას კულტურულ ჭრილში ის გვევლინება საერთაშორისო კულტურული გაცვლის ზრდაში, ტურიზმის ზრდაში, ცალკეული ქვეყნების კულტურათა პოპულარობის მატებაში.

უნდა ითქვას, რომ გლობალიზაცია ვლინდება ტელესაკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და ინფორმაციის გავრცელების წყალობით ტექონოლოგიების

გამოყენებას, როგორიცაა მაგალითად ინტერნეტი. მან პოვა გლობალური გამოყენება საერთაშორისო ფასეულობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ხშირად გლობალიიზაცია ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც წინ წამოწევენ ჰოლმე სამოქალაქო საზოგადოების პოზიციებს. ხდება ასევე მისი განხორციელება ისეთი მსხვილი საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, როგორებიცაა მაგალითად: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსო), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), მსოფლიო ბანკი და სხვა. შედეგად იცვლება სახელმწიფოს პოლიტიკა შემდეგი მიმართულებებით:

- ძალაუფლების ეროვნული დონიდან რეგიონალურსა და გლობალურზე;
- მცირდება სახელწმფიფოს მარეგულირებელი ძალის როლი, იზრდება საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება;
- ხდება ხელშეწობა კერძო და სახელმწიფო სუბიექტების გაერთიანება, რაც თავის მხრივ საზოგადოების მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს;

გლობალიზაციას გააჩნია როოგრც დადებითი, ისევე უარყოფითი შეეგები. ეკონომიკურ ჭრილში მისი უპირატესობა და სარგებელი აშკარაა. სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესი, საკომუნიკაციო და სატრანსპორტო დანახარჯების შემცირება და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება არის უპირობო სიკეთე.შედეგად გაიზარდა ინვესტიციებისა და ვაჭრობის მნიშვნელოვნება. მოსახლეობის ცხოვრების დონის მატება და შესაძლებლობათა გაფართოვება ამ ყველაფრის შედეგია. ნაკლოვანებებს რაც შეეხება, შესაძლოა მოხდეს სუვერენულ სახელმწიფოთა ხელისუფლებების შეცვლა გლობალური ელიტებით, აგრეთვე ეროვნული ფასეულობათა რღვევა. ეს ძალიან ფაქიზი მომენტია, ვინაიდან არსებობს დიდი რისკი და საშიშროება შემდეგი საკითხების მიმართ: შემოსავალებს შორის უთანასწორობის ზრდა როგორც ქვეყნებს შორის, ასევე სოციალურ ჯგუფებს შორის მათსავე რეგიონებში; ტერორიზმი; ნარკოვაჭრობა.

გლობალიზციის პროცესი არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც სჭირდება კომპლექსური მიდგომა. ყოველ ეპოქას ჰქონდა მასთან შეხება. ზუსტად ამის მიზეზია ის, რომ ყოველდღიურად მსოფლიო ვითარდება. იქმენბა სულ უფრო ჭკვიანი (Smart) ტექნოლოგიები. ეს პროცესი ხელს უწყობს კაცობრიობის განვითარებას, და შესაძლებლობებს უქმნის ადამიანებს გაიმარტივონ ცხოვრება. თითოეული ადამიანი ჩართულია ამ პროცესში, იმის და მიუხედვავად ვაცნობიერებთ თუ არა ამ ფაქტს. XXI საუკუნემ ფირმებს დაანახა, რომ აუცილებელია კონკურენციულ ბრძოლაში ჩაბმა, რათა შესძლონ არსებობა. ჩვენი ნებისმიერი დღე მოიცავს საერთაშორისო საქონლის მოხმარებას, თუმცა ამასაც ვერ ვამჩნევთ. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რომელ ბაზარს განვიხილავთ შიგა ბაზრად, რადგან დანარჩენ მსოფლიოს, უთუოდ, შეუძლია გაცილებით მეტის შეთავაზება როგორც საქონლის, ასევე მომსახურების სფეროებში (შეძენის და რეალიზაციის ჭრილში). ამ ყველაფრის შემჩნევას ართულებს ზუსტად ის ფაქტი, რომ გლობალიზაციის პროცესში ვართ ჩართულნი.

გლობალიზაციის დადებით მხარეებზე შეგვიძლია ვთქვათ. შრომის საერთაშორისო დანაწილება, სპეციალიზაციის გაღრმავება, თავისუფალი ვაჭრობის ურთიერთსარგებელი, მასშტაბის ეკონომია, ტექნოლოგიური პროგრესი კონკურენციის წახალისების გზით, შრომის მწარმოებულურობის ამაღლება, ფინანსური რესურსების მობილიზება და ზოგადი საკაცობრიო საკითხების გადაჭრა ეს, რა თქმა უნდა, დადებითი ეფექტის მომტანი პროცესია ყველა განვითარებადი ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც. გასაღების ბაზრების გაფართოვება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. იქედან გამომდინარე, რომ მთლიანი შიგა პროდუქტი ერთ სულზე ისედაც დაბალია, გასაგები ხდება რომ ისედაც შეზღუდული ტევადობის ბაზარი უფრო მეტად ვიწროვდება. ბაზრის გაფართოვება ბევრი გზით არის შესაძლებელი. თუმცა არ იქნება საკმარისი მხოლოდ შიგა ბაზრის დახმარებით, იქედან გამომდინარე რომ შედეგი საკმაოდ მოკრძალებული იქნება. თუ ჩვენ გლობალურად ვიმოქმედებთ, გლობალიზაციის პროცესი ზუსტად იმის საშუალებას

გვაძლევს რომ განვავითაროთ და გავზარდოთ შიგა და გარე ბაზარი მრავალმხრივი შეთანხმების გამოყენებით. ამასთან, ინვესტიციების მოცულობის ზრდაშიც ბაზარი გადამწყვეტ როლს თამაშობს. ინვესტიციების ზრდას საბაზრო ეკონომიკაში უზრუნველყოფს საქონლის გასაღების ბაზარი. თუკი, გლობალიზაციის შედეგად გაფართოვებდება საქართველოს ბაზარი, ეს პროცესი დადებითად აისახება ინვესტიცორების მოზიდვის კუთხით. შედეგად, ინვესტორები განახორციელებენ დაბანდებებს, რის შედეგადაც საქართველოში შემოვა თანამედროვე ტექნოლოგიები, დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, გამოყენებული იქნება ქვეყნის ბუნებრივი რესურსები პროდუქციის საწარმოებლად. წარმოებული პროდუქცია გზას იპოვნის როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე რეალიზებული იქნება სახელმწიფო საზღვებს გარეთ, რაც საკმაოდ კარგ შემოსავლებს მოუტანს ქვეყანას. ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს შიგა ინვესტიციური რესურსების ეფექტიანად მიმოქცევა.

თუმცა, როგორც ვიცით, მედალს ორი მხარე აქვს, და აქედან გამომდინარე უნდა აღინიშნოს ნეგატიური გავლენაც, რომელიც გამოიხატება ქვეყნებს შორის შემოსავლების არათანაბარ განაწილებაში, სახელმწიფოს როლის შესუსტება ეკონომიკაში და სოციალურ სექტორში, ეროვნული ტრადიციების უგულებელყოფა და სხვა. თუმცა, მაინც უფრო საშიშ მოსალოდნელ პრობლემად რჩება ის, რომ არსებობს რისკი ერთი რომელიმე ქვეყნის ფინანსური კრიზისის ასახვა საქართველოს ეკონომიკასა და ფინანსურ სექტორზე. ამის საკმაოდ ბევრი მაგალითი ახსოვს ისტორიას.

გლობალიზაციის ყველაზე მწვავე პრობლემად საქართველოსთვის და სხვა განვითარებად ქვეყნებისათვის არის ის ფაქტი, რომ გლობალიზაციის პროცესში ჩართვა გულისხმობს საბაჟო გადასახადის შემცირებას. რატომ არის ეს პრობლემა?! ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია. სავაჭრო შეზღუდვებისა და ბარიერების შემცირება ხელს უწყობს და უმარტივებს უცხოურ კომპანიებს შემოიტანონ თავიანთი ანუ უცხოური პროდუქცია. ეს გამოიწვევს საქართველოს ბაზრების გავსებას ამ

უცხოური საქონლით და შედეგად მივიღებთ ქართული ეროვნული ბაზრის, საწარმოების და სამეურნეო საქმიანობის ჩახშობას. ეს მოხდება იმიტომ, რომ ქართული ადგილობრივი საწარმოები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ არიან აღჭურვილნი თანამედროვე ტექნიკითა და ახალი ტექნოლოგიებით, რის გამოც დაბალია შრომის ნაყოფიერება. აქედან გამომდინარე, შესაბამისად, დაბალია პროდუქციის ხარისხიც და მაღალია თვითღირებულება. ეს ყველაფერი ართუელბს უცხოურ პროდუქციასთან კონკურენციას და ალბათ შეუძლებელსაც კი ხდის.

თუმცა, უარყოფითი მხარეების მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ გლობალიზაცია სისტემური მოვლენაა, და მისგან გვერდის ავლა, ფაქტობრივად შეუძლებელია. მას არ აქვს ალტერნატივა. რადგან გლობალიზაციისათვის გვერდის არიდება ნიშნავს იზოლირებულ საზღვრებში გამოკეტვას. ხოლო იზოლირებული და ჩაკეტილი საზღვრები დიდი შეცდომაა. ეს პროცესი უნდა შეფასდეს, როგორც ობიექტური პროცესი, რომელიც ეხმარება ქვეყნებს აიმაღლონ ცხოვრების დონე. ასე რომ, გლობალიზაცია ერთდროულად კარგიც და ცუდიც არის. მას შეუძლია როგორც დადებითის, ასევე უარყოფითი შედეგების მოტანა. მთავარი მაინც არის ის, რომ ქვეყნებმა უნდა გამოიმუშაონ უნარი გლობალური პროცესების გარჩევისა, მიიღონ ის დადებითი და პოზიტიური მხარეები რაც თან სდევს ამ პროცესს, და თავიდან აიცილონ უარყოფითი შედეგები. გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაციის კარგი მხარე, შესაძლოა არ მოერგოს ყველა ქვეყნის კულტურულ და ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ეს გასაგებიც არის. ერთი კი დანამდვილებით ცხადია: გლობალიზაცია იძლევა ცოდნის მიღების, კვალიფიკაციის ამაღლების, ეკოლოგიური კრიზისების დაძლევის, გლობალური ეპიდემიის ლიკვიდაციის და კიდევ უამრავი გლობალური პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობებს. ინფორმაციის გავრცელება კი ამ პროცესის წყალობით თითქმის მომენტალურად ხდება.

პოზიტიური ნაბიჯი, რომელიც საქართველომ გადადგა იყო ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების

ამოქმედება (DCFTA). გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს აქვს შესაძლებლობა საქონლისა და მომსახურების შეთავაზოს ევროკავშირის ქვეყნებს, რომელიც ამჟამად 28 ქვეყანას და 500 მილიონამდე მომხმარებელს აერთიანებს. ეს პროცესი, თავის მხრივ, საექსპორტო პოტენციალის ზრდის შესაძლებლობაა.

ისე რომ, ცალსახად იმის თქმა თუ რამდენად კარგია თუ ცუდი გლობალიზაცია არ იქნება რაციონალური. ამ პროცესის შეფასება შეიძლება იქედან გამომდინარე, თუ რა სტრატეგიას ირჩევს ქვეყანა. რასაკვირველია, თუ გამოვიყენებთ არსებულ მოცემულობას სწორად ჩვენს სასარგებლოდ, მას უზარმაზარი სიკეთის მოტანა შეუძლია. ჩვენი ამოცანაა, ვიყოთ უნივერსალისტურები და კონკურენტულები, არ ვუგულებელვყოთ ის კულტურული ეროვნულობა რაც გაგვაჩნია, არამედ მივიღოთ მაქსიმალურად მხოლოდ დადებითი მხარეები. ასეთი მიმართულება, რასაკვირველია, ძლიერი სახელმწიფოს შენების წინაპირობაა.

ბიბლიოგრაფია:

ა) წიგნი

1. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბილისი 2005;
2. ასათიანი რ. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო,საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, თბილისი 2010;
3. აბრალავა ა. ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი გლობალიზაციის პროცესში, ჟ. „ეკონომიკა“, 2004 ;
4. ალადაშვილი ბ., ეკონომიკური უსაფრთხოება. თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბ., 2011;;
5. ბაქრაძე გ. 2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები. საქართველოს ეროვნული ბანკი, ეკონომიკა და საბანკო საქმე ტომი 2;
6. გუროვა ი.პ. ,, მსოფლიო ეკონომიკა “ სახელმძღვანელო, თბილისი 2014;
7. ვეშაპიძე შ. „მსოფლიო ეკონომიკა“, თბილისი 2008;
8. მენქიუ გ. „ეკონომიკის პრინციპები“ თბილისი 2008;
9. მესხიძე ი. ეკონომიკური გლობალიზაციის ზოგიერთი თავისებურებები;
10. მექვაბიშვილი ე. „ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები“, თბილისი 2009;
11. მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაციის მოდელები, საქართველოს ეკონომიკა 3, 2008;
12. პეპანივილი ნ., კლიმიაშვილი ლ., მაღრაძე კ.,, გარემო და მდგრადი განვითარება “ სახელმძღვანელო, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2007;

13. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია , პროექტი, თბილისი 2013 წელი;
14. სტიგლიცი ჯ. გლობალიზაცია და მისი თანმდვი უკმაყოფილება, ბათუმი 2012;
15. ტომპსონი გ., პერსტი.პ., „გლობალიზაცია კრიტიკული ანალიზი“ თბილისი 2005;
16. ღაღანიძე გ. გლობალიზაცია და ეკონომიკური ინდექსი;
17. შენგელია თ. გლობალიზაცია და საერთაშორისო ბიზნესის გარემო საქართველოში;
18. ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.თბილისი 2008;
19. Глобальный кризис и мировая экономика. Государственный университет управления. Кафедра мировой экономики: сборник статей. М.: ГУУ, 2010;
20. Субботин а. "Перспективы глобального рынка// Мировая Экономика и международные отношения. 2006;
21. Медведев В. "Глобальная экономика: тенденции и противоречия// Мировая экономика и международные отношения. 2004 № 2;
22. The Economist. 2014;

ბ) ინფორმაციის გლობალური ქსელი

1. http://agrokavkaz.ge
2. http://www.ambioni.ge
3. http:// blogspot.com
4. http://bpi.ge
5. https://www.bpn.ge/article/6191-didi-depresia
6. http://www.economy.ge
7. http://european.ge/
8. http://forbes.ge
9. http://genia.ge
10. http://www.geostat.ge
11. http://geurasia.org/geo
12. http://mediakritika.ucoz.com
13. http://www.lari.ge
14. http://www.moa.gov.ge
15. http://www.moe.gov.ge
16. https://mosiashviliblog.wordpress.com
17. http://www.multimedia.tsu.edu.ge
18. http://www.nplg.gov.ge
19. http://www.pmcg-i.com

20. https://www.statista.com

21. http://www.thebalance.com

22. http://xareba.net

23. http://www.younggreens.ge

24. http://4motivi.com